# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 5 ივნისი 2007 №126 (3049) ფასი 50 თეთრი





ჯაბა კანკავას კლაუს ტოპმიოლერი დიდხანს ესაუბრა

კოკა ინასარიძის ფოტოები

# ოღონდ ნასრი არ იყოს ზასრი
## ნაკრები მენთეშაშვილმაც დატოვა



კოკა ინასარიძე ოსერიდან

საქართველოს ეროვნული ნაკრები ფრანკფურტიდან ოსერში გუშინ საღამოს ჩამოვიდა და ფრანგებთან თამაშისთვის მზადებას ქალაქიდან ათი კილომეტრის მოშორებით მდებარე „სტად აპონიზე" შეუდგა. ჩვენები იქვე, მყუდრო სასტუმრო „მერკურიში" დაბინავდნენ.

ერთი ახალი ამბავიც აქვე ვთქვათ, ნაკრებს ოჯახური პრობლემების გამო გამოაკლდა ზურაბ მენთეშაშვილი — ის გუნდს კაუნასიდან ფრანკფურტში კი გაჰყვა და ფრანგებთან მატჩისთვისაც ემზადებოდა, მაგრამ...

კლაუს ტოპმიოლერს ახლა ესეც თავსატეხი აქვს, ვინ ათამაშოს მენთეშაშვილის ნაცვლად. შესაძლოა, ეს ლადო ბურდული იყოს. მწვრთნელის მთავარი პრობლემა კი ცხადია, ფრანგებთან მატჩისთვის დისკვალიფიცირებული გიორგი დემეტრაძის, ლევან კობიაშვილისა და ლევან ცქიტიშვილის სრულფასოვან შემცვლელთა მოძებნაა. თუმცა, როგორც თავად მწვრთნელმა გვითხრა, მოედნის შუაში ერთი ფეხბურთელი ჯაბა კანკავა იქნება, მეორეზე კი მას კიდევ საფიქრალი აქვს.

გამორიცხული არ არის, საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე კახა კალაძეც ვნახოთ.

„სტად აპონიზე" ვარჯიშმა ერთ საათს გასტანა. ტოპმიოლერმა შეგირდებს ჯერ კვადრატი ათამაშა, შემდეგ ორკარა.

მეკარეები მამუკა აბუსერიძის ხელში იყვნენ — გიორგი ლომაიასა და გრიგოლ ჭანტურიას ლიტვასთან მატჩის შემდეგ 19-წლამდელთა მეკარე გიორგი მაკარიძე შეუერთდა. ვარჯიში რომ მორჩა, ტოპმიოლერმა და მისმა თანაშემწემ ბესიკ ფრიდონაშვილმა ცალკე ჯერ ჯაბა კანკავა, შემდეგ ზაალ ელიავა გაიხმეს...

— მწვრთნელი სამირ ნასრის წინააღმდეგ სათამაშოდ მამზადებს და ახლაც სწორედ ის ამიხსნა, როგორ შემიძლია თამაშიდან მისი გათიშვა. ის მოქნილი და სწრაფი ფეხბურთელი ყოფილა, თანაც, ხშირად რიბერი და მალუდა ეხმარებიან, უკრაინასთან ნასრი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო, ჩვენთან კი, იმედია, ისე ძლიერად ველარ ითამაშებს — გვითხრა ჯაბა კანკავამ, ხოლო მოგვიანებით ტოპმიოლერმა ერთხელაც დაადასტურა, რომ კანკავა ფრანგებთან აუცილებლად ძირითადში იქნება...

მოღრუბლული და ცივი კაუნასის შემდეგ კი ოსერი ქართველობას კაშკაშა მზით და 30-გრადუსიანი ტემპერატურით დაგვხვდა. პარიზიდან ოსერამდე მატარებლით ვიმგზავრე და უკვე იქ ვიგრძენი ხვალიდელი მატჩის მიმართ ფრანგების ინტერესი. რკინიგზის სადგურიდან ქუჩაში გამოსულს კი პირველი თვალში საფრანგეთი — საქართველოს 6 ივნისის მატჩის უზარმაზარი სარეკლამო ბანერი მომხვდა: „ერთად მოვიგოთ!" დაახლოებით ასეთი შინაარსისაა მასპინძელთა მოწოდება...

სასტუმროში კი, სადაც დავბინავდი, უფროსიდან დაწყებული, უმცროსით დამთავრებული, ყველა ხვალინდელ ფეხბურთზე ლაპარაკობს. სასტუმროს თანამშრომლებს საგანგებოდ ამ მატჩისთვის შეკერილი მაისურები მოურგიათ და უნდათ თუ არა, კარგ საფეხბურთო განწყობას ქმნიან.

ოსერს საფრანგეთის ნაკრები თავის სტადიონზე ძალიან დიდი ხანია, არ უნახავს და უკვე წარმომიდგენია, რა ამბავი იქნება ხვალ ტრიბუნებზე.

# ის, რითიც ხვალ მსოფლიო განათდება, დღეს თბილისშია
## საქართველო — ესპანეთი: დავაფტოლოთ მომავლები





ეროვნული ბიბლიოთეკა





# კლაუს ტოპმიოლერი: ვგრძნობდი, რომ გატანა გაგვიჭირდებოდა...

*საქართველოს ნაკრების ვარჯიშის დასრულების შემდეგ კლაუს ტოპმიოლერს ვესაუბრეთ, თუმცა, მწვრთნელმა მანამდე გვთხოვა, დრო ცოტა მაქვს და მხოლოდ ათ წუთს დაგითმობთ — თეორიული მეცადინეობა გვაქვს, შემდეგ საფრანგეთი — უკრაინა უნდა გავარჩიოთ, ბოლოს კი ჩვენი ლიტვასთან თამაშის მეორე ტაიმს კიდევ ერთხელ ვნახავთო...*

*ერთი სიტყვით, რაც 10 წუთში მოვასწარით, ესაა...*

— წაგება ცხადია, გულსატკენია, რამაც ძალიან უარყოფითად იმოქმედა როგორც ჩემზე, ასევე მთლიანად გუნდზე. პირველი ტაიმის და მეორის 10-15 წუთის მერე ისეთი დამრჩა შთაბეჭდილება, რომ კიდევ არ გაგვიმართლებდა და გოლს ვერ გავიტანდით. იღბალი ნაღდად არ გვწყალობს და რა უნდა ჩვენგან, არ ვიცი. გიორგი დემეტრაძის გამოცვლას ვაპირებდი, შევატყვე, რომ დაიღალა, მაგრამ ამ დროს გოლი გავუშვით და გადავიფიქრე. ანგარიშის გასათანაბრებლად ხომ თავდამსხმელი გვჭირდებოდა. ყველაზე მეტად ახლა ჩვენს გუნდს თავდასხმაში საბოლოო სიზუსტე, მობილიზება აკლია, ანუ ბოლო დარტყმის მომენტში კონცენტრირება გვიჭირს.

— ცხადია, გოლები რომ ვერ გაგვაქვს და ამდენ მომენტს ვერ ვიყენებთ, ეს ფსიქოლოგიაზეც მოქმედებს. თანაც, სეზონი ახლა თითქმის ყველგან დამთავრდა, ბიჭებიც გადაღლილები არიან, თუმცა ამ ყველაფერს რომ ვამბობ, ცხადია, თავს არ ვიმართლებ. ფაქტია, რომ წინა ხაზში პრობლემები გვაქვს — თან შოთა არველაძე წავიდა ნაკრებიდან და პრობლემებმაც იმატა. ამიტომაც ახლა სასწრაფოდ უნდა მოვძებნოთ ისეთი თავდამსხმელი, ვინც არველაძის შეცვლას მოახერხებს. აქამდე რატი წინამძღვრიშვილს ვთვლიდი მის შემცვლელად, მაგრამ შოტლანდიაში 19-წლამდელთა ტურნირზე მაგრად გაგვაწბილა. ახლა კი უფრო ლევან მჭედლიძეზე ვამყარებ იმედებს, დავით სირაძეც არ გვყავდა ლიტვასთან... ნაკრებში ახალი სახეების გამოჩენა ბუნებრივი პროცესია, ასეა დიდ გუნდებშიც — ჭაბუკები ნელნელა ეჩვევიან ეროვნულ გუნდს. ჩვენც ასევე უნდა მოვიქცეთ, ჭაბუკებს შანსი უნდა მივცეთ. აგერ, მაგალითად, საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა უკრაინასთან 19 წლის სამირ ნასრი ათამაშა.

— საფრანგეთთან, ვეცოდინებათ, კობიაშვილი, დემეტრაძე და ცქიტიშვილი დაგვაკლდებიან, მაგრამ ყველანაირად ვეცდები, ისინი ორმე შევცვალო. მაგალითად, ჯაბა კანკავას ნახევარდაცვის ცენტრში აუცილებლად დავაყენებ. ჯაბას ლიტვასთან თამაშის წინ ველაპარაკე, ფიქრისთვის დრო მივეცი, ვუთხარი, უაზროდ წითელ-ყვითელი ბარათების აკიდებას უნდა შეეშვა-მეთქი. ისიც ვუთხარი, რომ საფრანგეთთან აუცილებლად ითამაშებს. შეიძლება, ითამაშოს ცენტრალურმა მცველმა ლაშა სალუქვაძემაც — ფრანკ რიბერი ახლა ძალიან მაგარ ფორმაშია და მისი განეიტრალება იქნება საჭირო, თუმც ვერ ვიტყვი, მის მეურვეობას სალუქვაძეს დავაკისრებ თუ სხვას. ფაქტია, ლაშა ძირითადის ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატია. მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ ზონების გადაკეტვას, რათა ფრანგებს ბურთის კონტროლის საშუალება არ მივცეთ...

*ამასობაში, ის 10 წუთიც გავიდა და თეორიული მეცადინეობის დროც დადგა. დღეს კი კლაუს ტოპმიოლერი გუნდს საღამოს 8 საათზე „აბე დეშანზე" ავარჯიშებს. იქამდე ნახევარი საათით ადრე ჰერ კლაუსი პრესკონფერენციას გამართავს.*

*ფრანგები ოსერში ჯერ არ ჩამოსულან, მათ პარიზიდან დღეისთვის ელიან.*

**ძოგა ინასარიძე** კაუნასიდან



ხვალ ოსერში საფრანგეთი — საქართველოა და ძალიან ოპტიმისტები უნდა ვიყოთ, ქულის გამორჩენისა რომ გვეიმედებოდეს. ლიტვაში მარცხი გულზე ლოდივით გვადევს, იმ თამაშის შემყურე, „მამლებთან" კარგ შედეგზე, ვაი, რომ ვერ იფიქრებ... კაუნასური მატჩის ანალიზი ყოფილი „თბილისის" ყოფილ მწვრთნელ გიორგი დევდარიანს ვთხოვეთ. დევდარიანი ამჟამად ბავშვთა საფეხბურთო კლუბ „საბურთალოში" მუშაობს, რამდენიმე ასაკობრივ ჯგუფს ავარჯიშებს — იგი ერთ-ერთი ნიჭიერი სპეციალისტია ახალი თაობის ქართველებში, მისი „თბილისი" ლაღ, სიმპათიურ ფეხბურთს ხომ თამაშობდა და შედეგიც კარგი ჰქონდა. აი, ლიტვასთან თამაშზე კი დევდარიანს კარგი არაფერი უთქვამს ან კი, რომელ კარგზეა ლაპარაკი...

# სისხლი გვინდა!

## დევდარიანმა კითხვებზე კითხვებით გვიპასუხა

— მე ჯერ არ ვარ ისეთი კომპეტენტური და მწვრთნელობაში იმდენისთვის არ მიმიღწევია, რომ კლაუს ტოპმიოლერის მასწავლებლობა დავიწყო, მაგრამ ნაკრების თამაშში ულიმლამობის მეტს ვერაფერს ვხედავ. გუნდს არ აქვს მოტივაცია...

— საერთო აზრით, ნაკრებს მოგების ჟინი არ ეტყობა — ეს მხოლოდ ლიტვასთან მატჩზე არ ითქმის, ადრეც ასე იყო...

— გერმანელი კაცი საქართველოს ნაკრებს ვერ მისცემს იმხელა სტიმულს, ვერ ჩაუნერგავს მოგების დიდ სურვილს. ჩვენთან სხვა კულტურაა, გერმანიაში — სხვა. ჩვენ გვინდა, რომ უცებ ავყვეთ ევროპულ მენტალიტეტს, მაგრამ ქართული კულტურა და მენტალიტეტი არ არის იმ დონეზე, რომ მათ გავუტოლდეთ და მით უმეტეს, ვაჯობოთ. ჩვენ ჩვენი უნდა შევქმნათ.

— ანუ თვლით, რომ ნაკრებისთვის ქართველი მწვრთნელი უმჯობესია?

— ასე იყო ისტორიულად და დღევანდელობაც ასე გვიჩვენებს. სანამ გერმანელი ქართულ ხასიათსა და კულტურას ჩაწვდება, დიდი დრო გავა. თუ გვინდა, რომ მდევრები ვიყოთ, მაშინ ეს შედეგიც დამაკმაყოფილებელია, რადგან ფარერებს ისედაც ვუსწრებთ.

— მოტივაციის გარდა, ნაკრების წმინდა სათამაშო კომპონენტებზე რას იტყოდით?

— რა უნდა ვთქვა... რამდენი თამაშია, ნაკრებს ორი მიახლოებით ერთნაირი შეტევა არ გაუკეთებია — ეს პირდაპირ მიანიშნებს, რომ შეტევითი მონახაზი არ არსებობს. უბრალო არითმეტიკაა: მწვრთნელმა შეტევისასაც და დაცვისასაც რიცხობრივი უპირატესობა უნდა შექმნას, მაგრამ ეს ვერა და ვერ ვნახეთ...

— ნაკრებს ლიტვაში არ ჰყავდა ცენტრფორვარდი...

— ესეც პრობლემაა, მაგრამ მწვრთნელიც იმისაა, რომ ახალგაზრდები შეარჩიოს ნაკრებს. იაშვილისა და დემეტრაძის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ახალი სისხლია საჭირო. თუ მომავალ შესარჩევ ციკლზე ვფიქრობთ, რატომ არ უნდა მიეცეთ შანსი რატი წინამძღვრიშვილს, ლევან მჭედლიძეს...

— გამოსავალს რაში ხედავთ?

— არის კი გამოსავალი? ერთხელ ვალერი ლობანოვსკიმ თქვა, უკრაინულ ფეხბურთში სიჩუმე ჩამოვარდა და იმიტომაც დაგვეწყო კრიზისიო. სიჩუმეში ის იგულისხმა, რომ არ იყო კამათი, დავა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა... აქ ასეთი არაფერი ხდება. არავის უნდა კამათი, თურმე ყველამ ყველაფერი იცის. მე გული მწყდება, რომ მომავალ თაობასაც ვართმევთ თამაშის სტიმულს. როგორ გავალთ 2010 წლის მუნდიალზე ან 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე? ეს ხომ არ არსებობს... ბავშვთა ფეხბურთს თუ არ მივხედეთ, რომელ მომავალ წარმატებებზეა ლაპარაკი?!

**ილია ნანობაშვილი**

# დვალი-გიგაური ოლიმპში. ქემოკლიძე უცხოეთში

**საჩხერის** „ჩიხურამ" უმაღლესში ადგილი რომ შეინარჩუნა, თბილისის „დინამოდან" განათხოვრებულებს, ჯაბა დვალსა და დავით გიგაურს ამაში დიდი წვლილი მიუძღვით — სწორედ ამათი გოლებით დაამარცხეს ზემოიმერლებმა პლეი აუტში პირველლიგელი „გაგრა".

როგორც შევიტყვეთ, დვალმა და გიგაურმა „ჩიხურა" დატოვეს და კონტრაქტი საქართველოს ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპთან" გააფორმეს.

კიდევ ერთი ჩიხურელი რევაზ ქემოკლიძე კი, სავარაუდოდ, უცხოეთში გააგრძელებს კარიერას.

**ნუკრი ლოლაძე**

# გაჯიევმა გოგუასთან არ იამხანაგა



**როგორც ჩანს,** რამენსკოეს „სატურნის" ახალი მწვრთნელი გაჯი გაჯიევი გოგიტა გოგუას მაინცდამაინც კარგი თვალით არ უყურებს. გაჯიევმა ჩვენებური ყაზანის „რუბინთან" ამხანაგურ მატჩში, რომელიც 2:2 დასრულდა, 18-კაცა განაცხადშიც არ შეიყვანა. სამაგიეროდ, ჩვენებურმა ორი დღით ადრე დუბლებში ითამაშა, რაც დიდი ვერაფერი ნუგეში უნდა იყოს.

საინტერესოა, რა დაუწუნა გაჯი გაჯიევმა გოგუას და რატომ გადაიყვანა სარეზერვოებში?

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# უკრაინული ტესტები ქართველებს

**გოლის** გემო გაიხსენა კრივოი როგის „კრივბასის" ქართველმა ვასილ გიგიაძემ, თუმც ჯერ მხოლოდ ამხანაგურ მატჩში.

სანამ სანაკრებო თამაშების გამო უკრაინის ჩემპიონატში პაუზაა, გუნდები ერთმანეთს ამხანაგურად ეჯიბრებიან. „კრივბასმა" სტუმრად 3:0 დაამარცხა „დნიპრო", გიგიაძემ ამ მატჩში ანგარიში გახსნა, შესვენებაზე კი შეცვალეს, ისევე, როგორც ყველა ფეხბურთელი, ვინც სასტარტოში იყო.

ამხანაგურად ითამაშა ზაპოროჟიეს „მეტალურგმაც". მეტალურგებმა მარიუპოლის „ილიჩევეცს" 2:1 მოუგეს. სასტარტოში იყო ირაკლი მოდებაძე, რომელმაც პირველ საგოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა, 57-ე წუთზე კი შეცვალეს. მარიუპოლელთა შორის ითამაშა გიორგი ციმაკურიძემ, თუმც მხოლოდ ბოლო 15 წუთი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## პოლონეთი

ლიგის თასი
1/2 ფინალი
პირველი მატჩი

ლეჩნა 3:2 ვროცლინი

## აშშ

მეიჯორ სოკერ ლიგა
X ტური

ჰიუსტონი 2:1 დალასი
ჩიკაგო 3:2 კოლუმბუსი

## შვედეთი

სუპერეტა. VIII ტური

ენჩიოპინგი 0:1 ლიუნგსკილე
სილვია 1:2 დეგერფორსი

## ბრაზილია

სერია A. IV ტური

პარანა 0:1 სან პაულუ
ვასკუ და გამა 1:1 ფლუმინენსი

## არგენტინა

კლაუსურა. XVII ტური

რასინგი 2:0 ესტუდიანტესი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს ნაკრებში სათამაშოდ საჭიროა ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან და შრომის წიგნაკი

**ჩვენ** არ ვიცით და, თუ ვინმემ იცის, ვთხოვთ, შეგვატყობინოს: ოდესმე სადმე რომელიმე მწვრთნელს თუ უთქვამს, ნაკრებში ესა და ეს ფეხბურთელი იმიტომ გამოვიძახე, რომ ერთი წლის წინ კარგად თამაშობდაო.

ეგებ ვინმეს უთქვამს კიდეც, საერთოდ კი, ასე ხდება: მწვრთნელები იმ ფეხბურთელებს იძახებენ, დროის იმ კონკრეტულ მონაკვეთში ხარისხიან ფეხბურთს რომ თამაშობენ.

რომ არ შემოგვედავონ, ახლავე ვთქვათ: არც კლაუს ტოპმიოლერს უთქვამს ოდესმე, შარშან რომ კარგად თამაშობდა, იმიტომ გამოვიძახე ესა და ეს ფეხბურთელიო, მაგრამ ფიცისა და ბოლოს ანდაზასაც თუ გავიხსენებთ...

ფაქტებზე გადავიდეთ და ლიტვასთან იმ ავადსახსენებელი მატჩის განაცხადში მყოფ ფეხბურთელთა საამსეზონო მიღწევები გავიხსენოთ...

**გიორგი ლომაია** — ბოლო დროს სტაბილურად თამაშობს.

**ზურაბ ხიზანიშვილი** — რამდენიმე თვეა, ტრავმის გამო არ უთამაშია.

**კახა კალაძე** — ტრავმებმა დატანჯა და ფორმა ბოლოსლა აღიდგინა.

**ზაალ ელიავა** — რიგის „სკონტოს“ შემადგენლობაში სტაბილურად ხვდება და თამაშობს.

**ოთარ ხიზანეიშვილი** — ტრავმები ჰქონდა და მოედანს მხოლოდ ორი კვირის წინ დაუბრუნდა.

**ზურაბ მენთეშაშვილი** — ძალიან დიდი ხანი უგუნდოდ იყო, მარტიდან კი ლატვიურ „ვენტსპილსში“ შეცვლებზე ათამაშებენ.

**ოთარ მარცვალაძე** — არ თამაშობს.

**ლევან ცქიტიშვილი** — ხან ათამაშებენ, ხან არა.

**დავით მუჯირი** — დიდი ხანი არ არის, რაც რუსეთის ჩემპიონატი დაიწყო.

**ლევან კობიაშვილი** — ბუნდესლიგის მეორე წრე პრაქტიკულად ჩაავდო.

**დავით ქვირკველია** — უმეტესად თამაშობს.

**ალექსანდრე იაშვილი** — სტაბილურად თამაშობს.

**გიორგი დემეტრაძე** — ძალიან დიდი ხანია, არ უთამაშია.

გამოდის, რომ ლიტვასთან მოთამაშე 13 ფეხბურთელიდან თავიანთ კლუბებში სტაბილურად მხოლოდ ოთხი, ჰა-ჰა, ხუთი მათგანი თამაშობს. აქედან ლასკვნის გამოტანას კი დიდი მწვრთნელობა სულაც არ სჭირდება — ტოპმიოლერი შემადგენლობას ერთადერთი პრინციპით ირჩევს: ფეხბურთელი საქართველოში ცხოვრობს თუ უცხოეთში. სხვა ლოგიკას მისეულ არჩევანში ჩვენ ვერ ვხედავთ.

ვერ ვხედავთ, მაგრამ ეჭვი გვაქვს, რას გვეტყვიან: ხომ ნახეთ, უთამაშებელმა კალაძემ რა კარგად ითამაშაო. კი ითამაშა, მაგრამ იშვიათი გამონაკლისი წესად ვერასდროს იქცევა.

და ერთიც — კლაუს ტოპმიოლერმა შეკრებაზე გამოიძახა მალხაზ ასათიანიც, თუმცა იცოდა, რომ ის, სულ მცირე, კიდევ ერთი თვე ვერ გავიდოდა მოედანზე. ამ ფაქტს კი აღარც დასკვნა სჭირდება და აღარც კომენტარი...

**კოტე ქექელია**

## geo_geo_fan@hotmail.com

გუშინდელი ფოსტის გაცნობისას გვეწერა, ამ რუბრიკაში გაცილებით უფრო მკვახე წერილები მოუწერიათ გულშემატკივრებს ადრეო. თითქოს ამას ელოდნენო, დღევანდელი ფოსტა ისეთი წერილებით გაივსო, მკვახეც რომ აღარ ეთქმის...

და ჩვენი აზრით, მთავარი: გაჩნდა ეჭვი, რომლის გაფიქრებაც კი შემზარავია, მაგრამ ეჭვი ხომ ისეთი რამეა, სიმართლეზე მეტად რომ იჯერებს ადამიანი...

# ცუდი ამბები ისმის თბილისში...

## ტრადიციას გაფრთხილება უნდა: საფრანგეთთან ღირსეულად წავაგოთ!

**IRAKLI 1979:** ალბათ უმრავლესობა გულშემატკივრებისა ჩემსავით დაბნეულია. უკვე მართლა აღარ ვიცი, ტოპმიოლერს ვუსაყვედუროთ თუ ისევ ჩვენი ფეხბურთელების ბრალია, რაც ლიტვასთან მოხდა. უბედურება ისაა, რომ ძლიერ მეტოქესთან „ღირსეულად“ ვაგებთ, სუსტთან „შემთხვევის“ წყალობით და უსუსურთან კი ბეწვზე გავურბით დამარცხებას — დამკვიდრდა ეს ტრადიციად და ჩაგვებეჭდა ტვინში ასე.

მწვრთნელს რაც შეეხება, მინდა დავეთანხმო უმრავლესობის აზრს — საქართველოს ნაკრებს ახალი სახეები, ახალი სისხლი ძალიან აკლია, მე მართლაც ვერ დავიჯერებ, სანდრო იაშვილი არ იყოს ღირსი, აჩვენოს ნაკრებში თუნდაც ერთი თამაში, ეს მაშინ, როდესაც ასე გვიჭირს წინა ხაზში. ტოპმიოლერი თუ ასე გააგრძელებს, ორი წლის მერე დაგვრჩება სანაკრებოდ 6-7 ფეხბურთელი, დანარჩენებს კი ბუცები ლურსმანზე ექნებათ ჩამოკიდებული უკვე.

წინ საფრანგეთთან თამაშია, დარწმუნებული ვარ, ლიტვასთან თამაშზე უკეთესს აჩვენებენ და დარწმუნებული ვარ, წავაგებთ — ასეთია დღეს ჩვენი ადგილი საფეხბურთო სამყაროში, მაგრამ რაც დავთესეთ, იმას ვიმკით, არავის დაავიწყდეს 13 მაისის არჩევნები, რა კომედიაც დაწერეს იქ სცენარისტებმა, იმ კომედიას ახლა სათამაშო მოედანზე ვუყურებთ გაღიმებულნი!

**RINO**: გამარჯობათ, სარბიელელებო! ლიტვასთან წაგებით შეურაცხყოფილმა ვიკავე თავი, ვიკავე, მაგრამ ბოლოს მაინც ვერ შევიკავე და გადავწყვიტე, მომეწერა. წინასწარ ბოდიში, თუ რაიმე არაკორექტულად გამომივა, მაგრამ ახლა სწორედ აზრების დაწყობას ვცდილობ და რა გამოვა, არ ვიცი. იმედია, დამიბეჭდავთ.

ეს ორი დღეა, ძალიან ცუდი ამბები მესმის და თბილისშიც თითქმის ყველა დაუფარავად ამბობს, რომ... ნაკრებმა თამაში შეგნებულად წააგო. გუნდის ეგრეთწოდებულ ლიდერებს კლაუს ტოპმიოლერის გაშვება უნდათ და რბილად რომ ვთქვათ, „ჩაუშვესო“. ჰო-ჰო, რბილად ნათქვამია ვითომ?! ალბათ, თქვენც მიხვდებით, რომ არა.

ვის, რაში, რატომ აწყობს ეს? ვინ განაწყობს ხალხს მტრულად? ერთმა მეგობარმა კი, საერთოდ, ისეთი რამ მითხრა, თმები ყალყზე დამიდგა: თუ დააკვირდი ნაკრების ეგრეთწოდებული ლიდერების თამაშსო. კონკრეტულად ვის-მეთქი. ჩამომითვალა და გაოგნებულმა იქით შევუტიე, რას სულელობ, თუ ძმა ხარ, უეჭველი მოგელანდებოდა რაღაც-მეთქი. არ ვიცი, მე ჩემი მითქვამსო და, ირონიული ღიმილით გამეცალა.

ლამისაა, გასკდეს გული. ახლა გვარების ჩამოთვლას ნაღდად არ დავიწყებ, კონკრეტულად თურმე ვინ და რატომ „ჩაუშვა“, მაგრამ ეს თუ მართლა ასეა (რაც, ძალიან არ მინდა, დავიჯერო), ყველას გასაგონად ვიტყვი: ხალხნო, ფეხბურთელებო, მწვრთნელებო, ჩინოვნიკებო, გაიგეთ რა, ეროვნული ნაკრები არც პეტრესია და არც პავლესი, ის ქართველი ერის სიხარული და ტკივილია. გამოგიძახეს ნაკრებში? კეთილი ინებე და 100 პროცენტით დაიხარჯე. თუ არ გინდა გულით თამაში, მაშინ საერთოდ არ ჩამოხვიდე. ფეხებს უფრთხილდებით? ჰო, მერე ტრავმირებულს ხომ არ გადაგიხდიან ხელფასს. გვეყო ამდენი შეურაცხყოფა და ქირქილი, ყველა რომ დაგვცინის.

გა-ი-გეეეეეეეთ!!!

P.S. და ყველაზე შეურაცხმყოფელი ჩემთვის ის იყო, ერთ-ერთ რუსულ ვებგვერდზე რომ დაგვცინოდნენ, მაგათ სახელებით და გვარებით ფეხბურთელებიც კი ჰყავთ და მწვრთნელიც, მაგრამ ლიტვამ როგორ გაამათრახა ქართველები, ხომ ნახეთ, მაგარს ვხალისობთო.

სისხლი არ გაქვთ?!

**TSNORISMILANI**: საქართველოში ძალიან ადვილია ხალხის მოტყუება, უნამუსოდ თვალებში ნაცრის შეყრა. ასე გვატყუებს გერმანელი კლაუს ტოპმიოლერი უკვე წელიწადნახევარია — გვატყუებს ტოპმიოლერიც, ნოდარ ახალკაციც და, საერთოდ, ყველა, ვისაც ქართულ ფეხბურთზე გავლენა აქვს.

ყველა ფეხბურთელს და მწვრთნელს აქვს წარმატებული პერიოდი. ამ ტოპმიოლერსაც 2000-2002 წლებში ჰქონდა მიღწევები და იმის შემდეგ ჯერ იმავე „ლევერკუზენს“ აგდებდა ბუნდესლიგიდან, მერე კი — „ჰამბურგს“... გერმანიაში მას ტოპ-მწვრთნელად არავინ იცნობს! გარდა ამისა, ერთია კლუბში, მეორე კი ნაკრებში მუშაობა. და კიდევ, მესამეა ადამიანური თვისებები — გერმანიაში ტოპმიოლერს იცნობენ, როგორც არაკოლეგიალურ კაცს, რომელსაც სხვა მწვრთნელების გაჭორვა უყვარს.

ხოლო იმაზე ლაპარაკი, რომ ტოპმიოლერი თავისი ხელფასის შესაბამის სამუშაოს არ ასრულებს საქართველოს ნაკრებში, მგონი, ზედმეტია. იცით, მსოფლიოში რამდენ სანაკრებო მწვრთნელს აქვს წელიწადში ორი მილიონი დოლარი? მერწმუნეთ, ძალიან ცოტას. ახლა არ თქვათ, რა შუაშია ხელფასიო... სწორედაც რომ არის, კაცი იმდენს უნდა იღებდეს, რასაც იმსახურებს — დაახლოებით მაინც...

ახლა კონკრეტულად შაბათის თამაშზე: მწვრთნელი რომ გქვია, კიევის „დინამოს“ დუბლებში შეცვლებზე მოთამაშე ოთარ მარცვალაძე უნდა გამოიყვანო გადამწყვეტ დროს? მუჯირმა რამდენიმე წუთი ითამაშა, კანკავა და ლვინიანიძე სკამზე ისხდნენ. წარმოიდგინეთ, სამივე თავის გუნდში რეგულარულად თამაშობს, ამ დროს კი მინდორზე დაბორიალობენ მარცვალაძე, ხიზანიშვილი, დემეტრაძე...

ერთადერთი იმედი? ისევ ახალი თაობის ფეხბურთელები, დღევანდელი 19-წლამდელები — მათ თუ მცოდნე და თავისი საქმისადმი პრინციპული მწვრთნელი (და არა ისეთი, ტრანსფერებში რომ იქექება) ეყოლებათ, ალბათ, გაახარებენ კიდეც საქართველოს.

**KANDARELLI**: „სარბიელს“ გაუმარჯოს! კიდევ ერთი სირცხვილი ვჭამეთ. კიდევ ერთხელ „გვასახელა“ საქართველოს ნაკრებმა. მთელი საქართველო მიზეზის ძებნითაა დაკავებული. მე უბრალოდ მაინტერესებს, როდის ამოუვა ეს ყველაფერი ქართველ გულშემატკივარს ყელში და როდის შეაქცევს ზურგს ქართულ ფეხბურთს. ისე, რომ ითქვას, გასაკვირი არაფერი მომხდარა. ჩვენმა ბიჭებმა სტანდარტული თამაში ითამაშეს თავიანთ სტილში. მე ჯერ კიდევ ერთი წლის წინ მოგწერეთ ის რამდენიმე მიზეზი, რის გამოც ჩვენი ფეხბურთი ვერასოდეს გახდება ევროსტანდარტის. ერთი პატარა ნათელი წერტილი გამოჩნდა ორი კვირის წინ გიორგი ნემსაძის სახით და იმწუთშივე ჩაახშეს. არ აწყობდათ.

საერთოდ, არჩევნების შესახებ გაზეთ „კვირაში“ დაიბეჭდა საინტერესო წერილი და ტელევიზიაშიც ითქვა, რომ ასეთი შემთხვევა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას არ ახსოვს (ახლა ხომ გაიგეს, რომ ასეთი რამეც არსებობს?). ალბათ თვით პლატინიც გაკვირვებულია.

მთავარი პრობლემა იმაშია, რომ ჩვენ სახლის აშენება ბოლო სართულიდან დავიწყეთ, რაც თითქმის არასოდეს მართლდება. ნემსაძე ის ადამიანი იყო, ვინც გერმანელ არაფრისმომტან მწვრთნელებს კი არ მისცემდა ფულს, არამედ ახალგაზრდულ ფეხბურთში ჩადებდა და სკოლებს დააფინანსებდა. ყველა დიდი, ანაც საშუალო დონის ნაკრები საფეხბურთო სკოლების ხარჯზე არსებობს. სახლი საფუძველზე დაყრდნობით შენდება და არა მოხუცთა პანსიონატზე დაყრდნობით.

მე თუ მკითხავთ, კახა კალაძის ადგილი სათადარიგოთა სკამზეც არ არის. ბევრი შემედავება, კალაძემ ჩემპიონთა თასი მოიგო. რაც მოიგო, ეს თავისთვისაა. „ლივერპულთან“ ფინალის მერე კალაძეს კლასი მოემატა ან უკეთესად თამაში დაიწყო? არა. რაც იყო, ის დარჩა. მერე რა, რომ ელიავას ჩემპიონთა თასი კი არა, ჰოლანდიის თასიც არ მოუგია? აქვს მონდომება და აქვს მიზანი. მთავარი ესაა. ეს მხოლოდ კალაძეს არ ეხება, საუბარია ყველა გადაბერებულ ლეგიონერზე, რომელსაც ფეხბურთის თამაშის არანაირი სურვილი არ აქვს. უბრალოდ, ქართველებს ერთი მინუსი გვაქვს — შედარებები გვიყვარს. დარწმუნებული ვარ, იტალიამ ფარერებს ორ ბურთზე მეტი რომ ვერ გაუტანა, ბევრი ქართველი ამით ამაყობდა. იტალია მსოფლიოს ჩემპიონია, ჩვენ კი მსოფლიო ფეხბურთში ოცი წელია, სტატისტების როლი გვიჭირავს. ეს იქნება სამუდამო, თუ ჩვენი და ჩინოვნიკების დამოკიდებულება ქართული ფეხბურთის მიმართ არ შეიცვლება. იმედია, ამის დროც მოვა, ჯერ წინ საფრანგეთის ნაკრების გაკვეთილი გვაქვს. შემდეგ ფრანგული ჭრილობები უნდა მოვიშუშოთ და... დაიღალა ხალხი ერთი და იგივეზე ლაპარაკით.

geo_geo_fan@hotmail.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევრო 2009. შესარჩევი ეტაპი IV ჯგუფი. I ტური

თბილისი. 5 ივნისი. 20 საათი. ეროვნული

## საქართველო — ესპანეთი

მსაჯები: რ. კრანიჩი; ბ. ული, რ. ზირნშტაინი; რ. პონისი (ყველა სლოვენია);
უეფას დელეგატი: ბ. კარელი (შვეიცარია); დამკვირვებელი: ა. ფროსტი (ისრაელი)

# ყველაზე ძლიერი, ყველაზე შემტევი

## სეგრტს ესპანეთის არ ეშინია

დღეს 20 საათზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ესპანელ თანატოლებს ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში უმასპინძლებს.

შეგახსენებთ, რომ ესპანელთა გარდა, ჩვენს ჯგუფში პოლონეთის, რუსეთისა და ყაზახეთის ნაკრებებიც არიან. პირინეელებთან მატჩი კი პირველია ამ შესარჩევში.

ესპანელებთან მატჩის წინ ახალგაზრდული ნაკრების ხორვატმა მწვრთნელმა პეტარ სეგრტმა პრესკონფერენცია გამართა...

— ეს მატჩი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მეტოქედ მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრები გვყავს. მათ გუნდში რამდენიმე მაღალი დონის ფეხბურთელია, არიან ისეთებიც, ვისთვისაც არც უეფას თასის ფინალია უცხო...

...ჩვენ რამდენიმე დანაკლისი გვაქვს: ხუთი ფეხბურთელი ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული, აკაკი ხუბუტია და ბექა გოცირიძე დისკვალიფიცირებულნი არიან, ტრავმები აქვთ ზურაბ გვაძაბიას და დავით მჭედლიშვილს, თუმც მეტოქის არ გვეშინია და სასურველი შედეგის მისაღწევად ვიბრძოლებთ...

...მეტოქის შესახებ საკმაო ინფორმაცია გვაქვს და ფეხბურთელებსაც გავაცანით. მათ ესპანელთა თამაში კარგად იციან. მჯერა, რომ საქართველოს ნაკრები თავს არ შეირცხვენს...

...ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების ორი თამაში ვნახეთ: სტუმრად ინგლისთან და შინ ჩეხეთთან. მეტოქის სათამაშო სქემა 4-2-3-1-ია. ფეხბურთელები ძალიან ტექნიკურები არიან და საერთოდ, ესპანეთი ამ ასაკის გუნდებს შორის ყველაზე შემტევია. შევისწავლეთ მეტოქის შესრულებული სტანდარტული მდგომარეობებიც. ეს გუნდი ჩემს დიდ პატივისცემას იმსახურებს...

...ექვსი-შვიდი წელია, ეს ბიჭები ერთად მოდიან და ამ მხრივ მეტოქე ჩვენზე წინაა. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია ასაკობრივი ნაკრებებისთვის 50 მილიონ ევროს ხარჯავს და ამით ყველაფერია ნათქვამი. თუმცა ყველაფერი ფული და სახელი არ არის — მთავარი შედეგია. ჩვენი ბიჭები მეტოქეზე ორ-სამი წლით უმცროსნი არიან, თუმც მჯერა, ტოლს არაფერში დაუდებენ. მეამაყება, რომ ამ გუნდის მწვრთნელი ვარ და ისეთი ქართველი სპეციალისტების გვერდით ვმუშაობ, როგორებიც გელა შეყილაძე, ოთარ გაბელია და სერგო კოტრიკაძე არიან. მათთან მუშაობა



სიამოვნებაა და უკვე ვატყობ, რომ გუნდში არის ასაკობრივი სინთეზი, რაც აუცილებლად მოგვიტანს შედეგს...

...ბიჭები კარგ განწყობაზე არიან — გიორგი ჭელიძე და გიორგი ნავალოვსკი ყველას ამხიარულებენ. მოუთმენლად ველით ესპანელებთან მატჩს...

**— თბილისში ჩამოსვლამდე მეტოქემ ორი ამხანაგური მატჩი გამართა, თქვენ კი გუნდი ორი დღეა, შეკრიბეთ. როგორ ფიქრობთ, სელექცია ხომ არ დააგვიანეთ?**

— სელექციაზე შემიძლია ვთქვა, რომ გუნდში ყველა ის ფეხბურთელია, ვინც ნაკრებში ადგილს იმსახურებს. მართალია, დრო ცოტა გვქონდა, მაგრამ შევაჯერეთ პორტუგალიური და შოტლანდიური ტურნირები, აგრეთვე მატჩი თურქეთთან და საბოლოოდ ეს ვარიანტი ავირჩიეთ.

**— მეტოქის მწვრთნელმა თქვა, რომ აუცილებლად ათამაშებს ბოიან კრკიჩს, თქვენ თუ ათამაშებთ ლევან ყენიას?**

— ყენია შოტლანდიაში, 19-წლამდელთა ელიტ-რაუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, მაგრამ ახლა ვთვლი, რომ გადაღლილია და ძირითადში არ დავაყენებ. შესაძლოა, ბოლო ნახევარი საათი ან 20 წუთი ვათამაშო. თამამად ვიტყვი, რომ ყენია ისეთივე ტალანტია საქართველოსთვის, როგორც კრკიჩი ესპანეთისთვის. საბედნიეროდ, საქართველოს სხვა არაერთი ტალანტიც ეზრდება.

**— ინაკი საესმა ისიც განაცხადა, რომ ჩვენს ნაკრებს არ იცნობს...**

— დიდ პატივს ვცემ ინაკი საესს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მას მეტი ინფორმაცია აქვს, ვიდრე პრესასთან თქვა. თურქეთში შეკრებაზე ყოფნისას ესპანელები ვიდეოკამერებით იღებდნენ ჩვენს თამაშს.

**— საქართველოს ნაკრებში ხშირია წითელი ბარათები. ამის თაობაზე თუ ესაუბრეთ ფეხბურთელებს?**

— მართალია, ნაკრების ნაკლი დისციპლინაა. ჩვენ არ ვართ ესპანეთის, იტალიის ან საფრანგეთის ტოლი ქვეყანა — შემცვლელის პოვნა ძალიან გვიჭირს, ამ მხრივ, ფეხბურთელებს ბევრს ვესაუბრებით. იმედი მაქვს, ესპანეთთან ბიჭები ბარათებს არ მიიღებენ.

**— მომდევნო მატჩი პოლონელებთან გვიწევს, მათი წარმომადგენლის ჩამოსვლას ხომ არ ელით?**

— პოლონელი დამკვირვებელი ხვალინდელ მატჩს, სავარაუდოდ, დაესწრება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ბესიკ ჩიმაკაძის ნავსიანი ვარჯიში

**თბილისის** „ამერის“ 19 წლის ფორვარდმა ბესიკ ჩიმაკაძემ გუშინ საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების ვარჯიშზე უმძიმესი ტრავმა მიიღო — მეკარე გიორგი ლორიასთან შეჯახებისას წვივი ორ ადგილას მოიტეხა და სასწრაფოდ ლუდუშაურის სახელობის საავადმყოფოში წაიყვანეს.

ჩიმაკაძე, ვისაც ოპერაციას დღეს გაუკეთებენ, სავარაუდოდ, ოთხი თვე ვერ გაეკარება ბურთს.

**ოთარ მხეიძე**

# ინაკი საესი: საქართველო პირველია, უცნობია, ძნელია



**ესპანეთის** ახალგაზრდულმა ნაკრებმა „ეროვნულზე“ გუშინ 20 საათზე ივარჯიშა. პირინეელებმა ვარჯიში დახურეს, თუმც სანამ მინდორზე გავიდოდნენ, მწვრთნელმა *ინაკი საესმა* მცირე პრესკონფერენცია გამართა...

— პირველი მატჩი ყოველთვის ძნელია და იოლი მოგების იმედი არ გვაქვს, უნდა გავიდეთ და ვიბრძოლოთ. მით უმეტეს ძნელია თამაში მაშინ, როცა მეტოქეზე თითქმის არანაირი წარმოდგენა არ გვაქვს, საქართველოს 21-წლამდელებზე მხოლოდ ზედაპირულად ვიცი. მსმენია ყენიაზე, ის ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელი უნდა იყოს. ასევე ვიცი, რომ ქართველებს ჰყავთ კარგი მარჯვენა მცველი და 1987 წელს დაბადებული თავდამსხმელი.

**— ესპანეთს დანაკლისი არა აქვს?**

— არა. უბრალოდ, წინასწარ გამოცხადებული შემადგენლობის შემდეგ ორი ფეხბურთელი შევცვალეთ.

**— ახალგაზრდულ ნაკრებში საკმაოდ დიდხანს და წარმატებულად მუშაობთ. რაშია ესპანელი ახალგაზრდების ძალა?**

— ყველა კლუბს ჰყავს ოთხი-ხუთი ტალანტი მაინც, შემდეგ კი სწორი სელექცია და მუშაობაა საჭირო. ეს ფუნდამენტიდან უნდა იწყებოდეს.

**— როგორც ფავორიტი, შემტევ ტაქტიკას აირჩევთ?**

— ასაკობრივ ნაკრებში ესპანეთი იმდენჯერ გამხდარა ევროპის თუ მსოფლიოს ჩემპიონი, ვეღარც ვითვლი. ამის გათვალისწინებით, ცხადია, ფავორიტები ვართ და ხვალაც მოგებას ვაპირებთ. 1996 წლიდან ვმუშაობ ახალგაზრდულ ნაკრებში და უმეტესად 4-2-3-1 სქემით ვთამაშობთ. ეს იმიტომ, რომ როდესაც ფეხბურთელები ახალგაზრდულიდან ეროვნულ ნაკრებში გადავლენ, ტაქტიკურ სქემასთან ადაპტაცია არ გაუჭირდეთ.

**ილია ნანობაშვილი**





# ბუუუიმე, დედა!
## აღდგომა და ესტონეთის მერეო

**ფრენკ ლამპარდზე** საუბარი საკლუბო ამბებით დავიწყოთ: როგორც The People-მ შეიტყო, „ჩელსის“ ნახევარმცველმა ლონდონურ კლუბთან პირობები საბოლოოდ შეაჯერა და ახალი კონტრაქტის ხელმოწერას დაახლოებით ერთი კვირა ან ათი დღე აკლია.

მოგეხსენებათ, „ლურჯების“ ქომაგთა ადგილობრივი გმირი კლუბის დირექტორატთან ხელფასზე ვერ თანხმდებოდა. მას უნდოდა, ძვირად შეძენილი ლეგიონერების, ანდრეი შევჩენკოსა და მიხაელ ბალაკის ტოლი შემოსავალი ჰქონოდა, რომან აბრამოვიჩი და მისი რაზმი კი ამის წინააღმდეგი იყო. ახლა, როგორც მოგახსენეთ, The People-ის განცხადებით, პრობლემა მოგვარებულია, თუმცა რომელმა მხარემ დათმო, ამას არ იტყობინებიან.

ამაზეა ნათქვამი, აღდგომა და ხვალეო. აი, რაც შეეხება ფანთა გმირობას, აქ საქმე ცოტა სხვანაირად არის: „ლურჯების“ ფანობა ერთია და, ინგლისის ნაკრებისა მეორე — პარასკევს, ინგლისისა და ბრაზილიის ამხანაგური შეხვედრის დროს „უემბლიზე“ შეკრებილმა გულშემატკივარმა... მისმა არცთუ პატარა ნაწილმა მაინც, ლამპარდს „ბუუ“ ესახა — ჩვენებურად, უსტვინა.

რატომ?

ისტორია სამი თვის წინანდელია და ფესვები ანდორაში აქვს გადგმული. იქ ინგლისმა 3:0 მოიგო, ლამპარდმა კი არ ითამაშა, ტრიბუნაზე იჯდა, თუმცა ვაი ამ ჯდომას — ფანობამ გაიგო, რომ ტრავმა მიიღო თუ არა, ლონდონელს გუნდთან დარჩენა აღარ მოუნდა და ინგლისში დაბრუნებას დაეშურა, რის გამოც მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ისეთი „ბუუ“ მოუწყო, რომ შესვენების შემდეგ ლამპარდი გასახდელში დარჩა, ტრიბუნაზე აღარ აბრუნებულა.

„შეურაცხყოფა ინგლისის ნაკრებში თამაშის შემადგენელი ნაწილი გახდა — განაცხადა ლამპარდმა უკვე ნაბრაზილიევს — შარშან, ზუსტად ამ დროს, ზედიზედ მეორედ დამასახელეს წლის საუკეთესო ფეხბურთელად სწორედ გულშემატკივართა აზრით, ახლა კი, როგორც ხედავთ, „ბუუუ“ მივიღე. რას იზამ, ასეთია ინგლისური ფეხბურთი, მაგრამ მე ამას ვეგუები, პრობლემა არ მაქვს. კარგად მახსოვს, არცთუ დიდი ხნის წინ ხალხი ნაკრებიდან დევიდ ბექჰემის გაძევებას ითხოვდა, პარასკევს კი ზუსტად იმ ბექჰემს ისე შეხვდნენ, როგორც ნამდვილ გმირს. იგივე აქვთ ნაწვნევი პიტერ კრაუჩსა და ოუენ ჰარგრივსსაც. არადა, ეს ცუდია, გუნდს და ფეხბურთელებს ხელს უშლის, ხოლო მათთვის, ვისაც უშუალოდ ეხება, ძნელი გადასატანია. ასეთ დროს ვერაფერს გააწყობ, ერთადერთი ესაა, უნდა მოითმინო. ვფიქრობ, ჩემდამი დამოკიდებულების შეცვლა შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე დაიწყო. მიზეზი ის იყო, რომ გოლი ვერ გავიტანე. ახლა მე ვცდილობ, ძველი მდგომარეობა აღვიდგინო და გოლების გატანა დავიწყო. მართალია, ბრაზილიასთან ეს ვერ მოვახერხე, მაგრამ მწამს, უახლოეს მომავალში მოვახერხებ“.

საინტერესოა, რომ ლამპარდს მხარში ამოუდგა „არსენალის“ ბრაზილიელი მცველი, მისი პარასკევის მეტოქე ჟილბერტო სილვა, რომელმაც თქვა: „ხანდახან ბრაზილიაშიც გვატყდება თავს კრიტიკა, მაგრამ მე ვფიქრობ, ამ დროს მთავარია, ის გულს არ გააკარო. დიახ, შენ მოედანზე იმიტომ ხარ, რომ სხვებმა განგსაჯონ, მაგრამ თუ თავად გრძნობ, რომ შენი საქმე პირნათლად შეასრულე, შეგიძლია, შინ მშვიდად მიხვიდე და გემრიელად დაიძინო. ვიმეორებ, ყველაზე მთავარია, ზეწოლა გულს არ მიაკარო“.

შემდეგ კი ლამპარდმა უშუალოდ საფეხბურთო საკითხებზე დაიწყო ლაპარაკი. კერძოდ, „ჩელსის“ ნახევარმცველს სწამს, რომ თუ ინგლისის ნაკრები ესტონეთში ვერ მოიგებს, ბრაზილიასთან ფრისა და კაკასა და რონალდინიოსთან ტოლად თამაშის ფასი კაპიკი იქნება.

„სულელები უნდა ვიყოთ, რომ ვერ დავინახოთ: ინგლისის ნაკრებს საკუთარი ფანების სიმპათია დასაბრუნებელი აქვს. მშვენივრად ვიცით, რომ ფანტასტიკური ფეხბურთის თამაში შეგვიძლია, მაგრამ ბოლო რამდენიმე მატჩია, ეს შესაძლებლობები მოედანზე ვერ გადავიტანეთ. ბრაზილიასთანაც ვერ ვითამაშეთ ფანტასტიკურად, მაგრამ მოვინდომეთ, ეს კი სწორედ ის გახლავთ, რისი დანახვაც ჩვენს ფანებს უნდათ“.

ესტონეთში კი ინგლისელებს მართლაც უმნიშვნელოვანესი შეხვედრა აქვთ — ევრო 2008-ზე გასვლის იმედს ფრენკ ლამპარდი და ძმანი მისნი მხოლოდ გამარჯვებით შეინარჩუნებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სპორტული სპორტულად და, დაგეგმილ-დათვლილი 40 მილიონი გირვანქა იკარგება.

**ბაჩუნა ძიდია**

# ფიგუს უყვარს ლონდონი



**მილანის** „ინტერის“ ნახევარმცველმა ლუიშ ფიგუმ ეგებ კარიერა ლონდონის „ტოტენჰემში“ გაგრძელოს — წერს THE PEOPLE.

პორტუგალიელის აგენტი უკვე შეხვდა ინგლისური კლუბის წარმომადგენლებს და ტრანსფერზე ესაუბრა.

„ლუიშს ყოველთვის უნდოდა „ტოტენჰემში“ თამაში და ლონდონში ცხოვრება. ის ხედავს, რომ ამ ბოლო ხანს ბევრი ვარსკვლავი მიდის ლონდონში საცხოვრებლად და იქ რჩება“ — უთქვამს ლუიშ ფიგუს მეგობარს.

**გაჟა ხუციშვილი**

## ივანო რუსემ შეცვალა

**„სენტ ეტიენის“** მწვრთნელად ლორან რუსე დანიშნეს. ამის შესახებ კლუბმა ოფიციალურად გუშინ განაცხადა.

რუსე გასულ სეზონში ივან ჰაშეკის თანაშემწე იყო, რომელიც ცუდი შედეგების გამო გაათავისუფლეს.

ახალი მწვრთნელი „სენტ ეტიენის“ ყოფილი ფეხბურთელია.

## ბნელი მწვრთნელი

**„ლიონში“** წასული ალენ პერენის ადგილი „სოშოში“ ფრედერიკ ჰანცმა დაიკავა. ჰანცი მანამდე „ლე მანს“ თავკაცობდა, ახალ კლუბთან კი ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იგი ცნობილია იმით, რომ ფეხბურთელებს თეორიულ მეცადინეობებს ჩაბნელებულ ოთახში უტარებდა, ასე უფრო ყურადღებით მისმენენო.

## ბალძარეტი იით ხელში

**„იუვენტუსის“** მცველმა ფედერიკო ბალძარეტიმ დაადასტურა, რომ „ფიორენტინაში“ გადასვლა შესთავაზეს და სიამოვნებით გააგრძელებს „იებში“ კარიერას. სერია A-ში აღზევებულმა „იუვენტუსმა“ ბალძარეტი ტრანსფერზე დააყენა.

„თუ ტურინელებს აღარ ვჭირდები, „ფიორენტინაში“ სიამოვნებით ვითამაშებ. ეს საუკეთესო ვარიანტი იქნება. კლუბების დირექტორები უკვე შეხვდნენ ერთმანეთს და ალბათ მალე ყველაფერი გაირკვევა“ — განაცხადა ფეხბურთელმა.

## ალმირონის რიგი დაუდგა

**„ემპოლის“** არგენტინელი ნახევარმცველ სერხიო ალმირონის შეძენა „ინტერს“, „იუვენტუსს“ და „პალერმოს“ უნდათ. კლუბმა განაცხადა, რომ ნახევარმცველს ყიდის, ხოლო ფეხბურთელის აგენტმა თქვა: „ამ დროისთვის სხვებზე მეტად „იუვე“ და „ინტერი“ აქტიურობენ, დაინტერესებულია „პალერმოც“. მე ველაპარაკე „ემპოლის“ დირექტორს ჩემი კლიენტის მომავალზე და უახლოეს დღეებში ისევ შევხვდები“.

სერხიო ალმირონი 2001 წელს „ნიუელს ოლდ ბოისიდან“ გადავიდა „უდინეზეში“, შემდეგ „ვერონაში“ იყო, „ემპოლიში“ 2004 წლიდანაა.

## მანჩინიმ კივუ აისრულა

**„ინტერი“** „რომასგან“ კრისტიან კივუს ყიდულობს, სანაცვლოდ კი 3 მილიონ გირვანქას იხდის, თან ვალტერ სამუელს და დავიდ პიზაროსაც უთმობს დედაქალაქელებს.

„შავ-ლურჯთა“ მწვრთნელს რობერტო მანჩინის რუმინელი მცველის შეძენა დიდი ხანია, სურდა და თითქმის მიაღწია კიდეც საწადელს.

## კატანია ბალდინის მიადგა

**პასკუალე მარინოს** წასვლის შემდეგ „კატანია“ მწვრთნელს ეძებდა და „პალერმოს“ ყოფილ თავკაც სილვიო ბალდინის მიადგა. კატანიელთა პრეზიდენტმა ანტონიო პულვირენტიმ დაადასტურა, რომ ბალდინისთან შეთანხმება მიღწეულია. იგი 2007 წელს გაუშვეს „პალერმოდან“, შემდეგ კი ექვსი თვე „პარმაში“ გაატარა.

## ზემანს A-ში აბრუნებენ

**„რეჯინას“** აწ უკვე ყოფილი თავკაცი ვალტერ მაცარი „სამპდორიას“ მწვრთნელი გახდა და, იტალიური მედიის ცნობით, შესაძლოა, რეჯინელები ზდენეკ ზემანს ჩააბარონ. ჩეხს, კარგა ხანია, არ უმუშავია სერია A-ში, B-ში „ბრეშადანაც“ გაათავისუფლეს და „ლეჩედანაც“.

## ანრის 120 ათასი

**„დეილი მეილის“** ცნობით, „ბარსელონა“ მზადაა, „არსენალთან“ ტიერი ანრის ტრანსფერზე დაიწყოს მოლაპარაკება. ლონდონელები 20 მილიონ გირვანქაზე ნაკლებს არ დათანხმდებიან, თავად ფრანგი კი იმ შემთხვევაში გადავა „ბარსაში“, თუ სამწლიან კონტრაქტს გაუფორმებენ და კვირაში 120 ათას გირვანქას გადაუხდიან.

„ელ მუნდო დეპორტივო“ კი ამტკიცებს, „არსენალი“ „ნიუკასლიდან“ ობაფემი მარტინსის ყიდვას აპირებსო და, ბარსელონური გაზეთის აზრით, ეს ანრის შესაძლო წასვლასთანაა დაკავშირებული.

## ზიზუ წამლავს

**შვეიცარიის** სამხრეთში არის სოფელი ფარინეტი, სოფელში კი მსოფლიოში ყველაზე პატარა ვენახი. აქ სამად სამი ძირი ვაზია და ცნობილია, როგორც „მშვიდობის ვენახი“. ვაზის მოსავლელად ადიან ხოლმე ცნობილი ადამიანები, ახლა კი ზინედინ ზიდანის ჯერია...

**გაჟა ხუციშვილი**



# რიბერი: თითქმის ბაიერნელი!



## კარლ-ჰაინც რუმენიგე: ჩვენ უკვე შევთანხმდით

**მიუნხენის** „ბაიერნის“ პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ განაცხადა, რომ „მარსელიდან“ ფრანკ რიბერის ტრანსფერი თითქმის მოგვარებულია. მისი თქმით, 24 წლის ფრანგი ნახევარმცველი მალე ბაიერნელი გახდება. კლუბებს შორის ფასი უკვე შეთანხმებულია.

რიბერის გადასვლაზე ორი კვირის წინაც წერდა ერთ-ერთი გერმანული სააგენტო, მაგრამ მაშინ ფეხბურთელის აგენტმა უარყო, ბოლო დღეებში კი მარსელელს მადრიდის „რეალს“ უკავშირებდნენ.

„სულ მცირეღა გვიკლია საბოლოო შეთანხმებამდე — აღნიშნა რუმენიგემ — „მარსელთან“ მოლაპარაკება კარგად მიმდინარეობდა და, ფაქტობრივად, მოვრიგდით.“

„ბაიერნი“ ფრანგი ნახევარმცველის სანაცვლოდ დაახლოებით 25 მილიონ ევროს გადაიხდის. მათ „მანჩესტერში“ გადასული ოუენ ჰარგრივსში 17 მილიონი მიიღეს და რვის დამატება დასჭირდებათ.

„მარსელის“ პატრონმა პაპე დიუფმა კი ბრძანა, რომ მადრიდის „რეალი“ მათ არ დაკავშირებია, პრემიერლიგის ერთ-ერთი კლუბიდან კი მიაკითხეს, ოღონდ სთხოვეს, სახელი არ გაემხილა.

თვითონ ფეხბურთელმა ინტერვიუში განაცხადა: „ხალხი „რეალში“ ან „ბაიერნში“ ჩემს გადასვლაზე საუბრობს, მაგრამ ახლა საფრანგეთის ნაკრებში სათამაშო მაქვს და მხოლოდ ამაზე ვფიქრობ. ჩავამთავრებთ ამ ორ შესარჩევ შეხვედრას და მერე ვნახოთ.“

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბე და ბუ ჩერნოიმ ჩააწყო?

**რუმინულმა** გაზეთმა „პროსპორტმა“ ბელარუსი — ბულგარეთის მატჩს, რომელიც 0:2 დასრულდა, ჩაწყობილი უწოდა.

„ბულგარელებმა ძალიან იოლად მოუგეს მეტოქეს და ეს მხოლოდ სტუმართა კარგი თამაშით არ უნდა იყოს განპირობებული“ — ეწერა გაზეთში.

დაუსახელებელ ბულგარულ წყაროებზე დაყრდნობით, „პროსპორტი“ აგრძელებს: „არსებობს ინფორმაცია, რომ ბულგარეთის ნაკრებს დაეხმარა ბიზნესმენი მიხაილ ჩერნოი (რუსეთის, აშშ-ისა და ისრაელის მოქალაქე), რომელმაც ბელარუსის ფეხბურთის ფედერაციას ქრთამი მისცა სამი ქულის სანაცვლოდ. ადრე ჩერნოი „ლევსკის“ სპონსორი იყო, ამ გუნდის მწვრთნელი კი სტანიმირ სტოილოვი გახლდათ, ვინც ამჟამად ნაკრებს თავკაცობს.

გარდა ამისა, გაზეთის ცნობით, ბულგარეთში ბუქმეიკერებმა თავის ქვეყნის ნაკრებს მოგებაზე 1,6 კოეფიციენტი დაუწესეს, როცა სხვა ქვეყნებში 2-2,5 იყო.

რუმინეთის (ბულგარეთის ჯგუფშია და მეზობელს ორი ქულით უსწრებს) ფეხბურთის ფედერაციის შეფმა იონუტ ლუპესკუმ ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უეფამ ეს ფაქტი სათანადოდ უნდა შეისწავლოს.

ყოფილი ბულგარელი მწვრთნელის, გეორგი ვასილიევის აზრით კი, რუმინელებს შურთ ბულგარეთისა და ჭორიც ამიტომ გაავრცელეს.

— „პროვოკაციას“ ყურადღებას ნუ მივაქცევთ. რუმინეთის ნაკრებს ძალიან გაუჭირდება სოფიაში, როცა ჩვენ გვესტუმრება და წინასწარ ცდილობს ჩვენს არევას — თქვა ვასილიევმა.

## რიბასი სპარტაკს აინტერესებს

**მოსკოვის** „სპარტაკი“ მილანის „ინტერის“ 19 წლის ფორვარდ სებასტიან რიბასით დაინტერესდა — წერს „ტუტოსპორტი“.

სარეზერვო გუნდების ჩემპიონატში რიბასმა 24 მატჩი ითამაშა და 15 გოლი გაიტანა.

## სავიოლა დასწრებაზეა

**ინგლისური** „ნიუს ოფ ზე ვორლდის“ ცნობით, „მანჩესტერი“ ბარსელონელი ხავიერ სავიოლას ყიდვას აპირებს. ალექს ფერგიუსონის აზრით, 25 წლის ფორვარდის შეძენით კლუბი ტრანსფერებს დაასრულებს. თვის ბოლოს სავიოლას „ბარსასთან“ კონტრაქტი უსრულდება და თავისუფალი აგენტი გახდება. „მანჩესტერი“ არგენტინელის გათავისუფლებას არ დაელოდება და 7 მილიონ გირვანქას გადაიხდის მის სანაცვლოდ, რადგან „არსენალი“, „ლივერპული“ და „ბოლტონიც“ ცდილობენ ფორვარდის გადაბირებას.

ალექს ფერგიუსონის გუნდი სავიოლას სამწლიან კონტრაქტს და კვირაში 50 ათას გირვანქას სთავაზობს.

## საუკეთესო მარჯვენა სანუა

„**ოსერის**“ მცველი ბაკარი სანუ, შესაძლოა, „არსენალში“ გადავიდეს. 24 წლის ფეხბურთელმა საფრანგეთის ნაკრებში პირველად შაბათს, უკრაინასთან მატჩში ითამაშა. მისი ფასი დაახლოებით 6 მილიონი გირვანქაა.

აღსანიშნავია, რომ სანუ ადრე ფორვარდი იყო, განვლილ ჩემპიონატში კი საფრანგეთში საუკეთესო მარჯვენა მცველად დაასახელეს.

## ჩიმბონდა და ბოსინგვა

„**ჩელსის**“ პასკალ ჩიმბონდას ყიდვა უნდა „ტოტენჰემიდან“, ხოლო ტოტენჰემელებს მის შემცვლელად პორტუელი ჟოზე ბოსინგვა შეუგულებიათ. „სანის“ ცნობით, „ჩელსიმ“ „მამლებს“ 10 მილიონი გირვანქა შესთავაზა ფრანგი მარჯვენა მცველის სანაცვლოდ, მაგრამ უარი მიიღო, თუმც ჟოზე მაურინიუს გუნდი უკან დახევას არ აპირებს.

ბოსინგვა, რომელმაც ბელგიასთან მატჩში პირველად ითამაშა პორტუგალიის ნაკრებში, 24 წლისაა და უნივერსალია. „ტოტენჰემი“ მასში 3 მილიონ გირვანქას იხდის, ფეხბურთელს კი კვირაში 15 ათას გირვანქას ჰპირდება.

## მაჩადუმ მილანი გაამხილა

„**მილანმა**“ „გრემიოს“ ნახევარმცველ კარლოს ედუარდოში 10 მილიონ 500 ათასი ევრო შეაძლია. ეს ამბავი ფეხბურთელის აგენტმა ჟორჟე მაჩადუმ გაამხილა. ედუარდოს ყიდვა „ბარსელონასაც“ უნდა. „გრემიოს“ პრეზიდენტი პაულუ ოდონე კი ნახევარმცველის გასხვისებას არ ცდილობს, რადგან, მისი აზრით, ფეხბურთელის ფასი მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის შემდეგ უფრო გაიზრდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ლივერპული გადაცმულთა თვალით

## ვაშლი უფრო ცუდია თუ ფორთოხალი?

**უეფას** განაჩენი ასეთია: ევროპაში ყველაზე ცუდი გულშემატკივარი „ლივერპულს“ ჰყავს!

რის საფუძველზე გააკეთეს ასეთი მკაცრი დასკვნა ძლიერთ ფეხბურთის ქვეყნისა?

თუნდაც იმის, რომ ცოტა ხნის წინ, ათენში ჩემპიონთა ლიგის ფინალის დღეს, ოლიმპიური სტადიონის ახლომახლო ატეხილ უწესრიგობებში ბრალი მათ მიუძღოდათ, მაგრამ მარტო ეს რომ იყოს, რა უჭირდა — დღეს ბრიტანეთის სპორტის მინისტრ რიჩარდ კებრონს უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი პირადად გადასცემს ნაშრომს, რომელიც ბოლო ოთხი წლის დაკვირვებისა და „გადაცმულ პოლიციელთა“ საქმიანობის წყალობით გაკეთდა.

„2003 წლის მერე „ლივერპულის“ ფანები სტუმრად მოწყობილ 25 ინციდენტში მონაწილეობდნენ, რომელთაგან ზოგი უმნიშვნელო იყო, ზოგი კი შემაშფოთებელი“ — განაცხადა უეფას პრესმდივანმა უილიამ გაილარდმა და თავისი ორგანიზაციის პოზიცია იქვე, რამდენიმე სიტყვით უფრო დააკონკრეტა კიდეც, მაგრამ სანამ ამაზე გეტყოდეთ, მოგახსენებთ, რომ ინგლისელებს ერთი აშკარად გამოხატული თვისება აქვთ: სხვისგან შენიშვნას ვერ ეგუებიან.

„უეფა ცდილობს, ჩემპიონთა ლიგის ფინალის ცუდი ორგანიზაცია ლივერპულელ ქომაგებს გადააბრალოს. მეტიც, ეს ორგანიზაცია საკუთარ დანაშაულს ჩქმალავს და ხელს ჩვენს თანაქალაქელებს ახოცავს, არადა, უსამართლობაა იმის განცხადება, რომ ხულიგნური ქცევა „ლივერპულის“ ფანებს ზოგადად ახასიათებთ. ამით ჩვენი ქალაქის სახელი იბღალება“ — განაცხადა ლივერპულ-ქალაქის ლორდმა-მერმა პოლ კლარკმა.

მაშ ასე, ერთი მხრივ, გვაქვს გამოძიება, რომელმაც დაადგინა, რომ „ლივერპულის“ ფანებმა ოთხ წელიწადში 25 უწესრიგობა მოაწყვეს და მეორე მხრივ, გვყავს განრისხებული მერი, რომელიც ამბობს, რომ მის თანაქალაქელებს ხულიგნობა არ სჩვევიათ და ეს ყველაფერი მავანთა დანაშაულის ლივერპულელებზე გადაბრალებაა.



AFP

ვფიქრობთ, ისინი, ვისაც უსაფრთხოების საკითხი უეფასა თუ ბრიტანეთში აბარიათ, თავიანთ მოვალეობას შეასრულებენ, ჩვენ კი ზემოხსენებული პრესმდივნის უილიამ გაილარდის გამონათქვამს დავასრულებთ: „საბედნიეროდ, „ლივერპულის“ ფანების ქცევა იმდენად პრობლემური არ არის, რომ მის გამო კლუბს დისკვალიფიკაცია დაემუქროს. სავარაუდოდ, საუბარი დამნაშავეთა პატარ-პატარა დაჯგუფებებს შეეხება. მერედა, არავინ ამბობს, რომ „ლივერპული“ ევროპის უარესი კლუბია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ ხელთ გვაქვს პოლიციის მასალები და დასკვნა, რომელსაც, ვფიქრობთ, აუცილებლად უნდა გაეცნოს ბრიტანეთის სპორტის მინისტრი“.

სხვათა შორის, როგორც პოლიციელთა დასკვნიდან ირკვევა, ლივერპულელი ფანები საკმაოდ ხშირად იმიტომ სცოდავენ, რომ უბილეთოდ ახერხებენ სტადიონზე შეძვრომას, ხოლო ინგლისელთა მორიგ პროტესტზე, რაღა „ლივერპულს“ ეძგერეთ, წლეულს იტალიას, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებს ხომ ძალადობის ნამდვილმა ტალღამ გადაუარაო, ბატონმა გაილარდმა თქვა, რომ ის ვაშლსა და ფორთოხალს ერთმანეთს ვერ შეადარებს.

**ბაჩუნა ძიძია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩემი საქმე მოგებაა

## ლეო მესის არგენტინა ზურგზე ლაზავს

ის ჯერ 19 წლისაა. ამ ასაკში ბევრი ფეხბურთელი პირველ ნაბიჯებს დგამს, ლეო მესი კი უკვე დიდი კლუბების ინტერესის საგანია და საყოველთაო ვარსკვლავად არის მიჩნეული. მესის ყულაბაში უკვე დევს ესპანეთის ჩემპიონის და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის მედალი, ზურგს კი მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის გამოცდილება უმაგრებს. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, როდესაც არგენტინელთან fifa.com-ის კორესპონდენტი მივიდა, ყმაწვილმა მასზე უკიდურესად წესიერი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. მოედნის მიღმა ის მორიდებული და გულწრფელი ჭაბუკი აღმოჩნდა, სრულიად განსხვავებული იმ მებრძოლისგან, რომელსაც მოედანზე ვხედავთ...



— ლიონელ, ესპანეთის ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტური ღა დარჩა. „ბარსელონა“ „რეალსა“ და „სევილიას“ ჩემპიონის ტიტულისთვის ეცილება. რას გვეტყოდით ამ კულმინაციის შესახებ?

— ჩემპიონატის დასასრული მართლაც მეტისმეტად დაძაბული გამოვიდა. თქვენს მიერ ჩამოთვლილ სამივე გუნდს ჩემპიონობის შანსი აქვს. რაც შეეხება „რეალს“, მართალია, ამწუთას ცხრილში ჩვენზე წინ არის, მაგრამ გვწამს, საბოლოოდ ჩემპიონი „ბარსელონა“ გახდება, რაც დიდებული იქნება.

— მით უფრო, რომ ამ სეზონში იყო პერიოდი, როდესაც „ბარსელონა“ „რეალს“ გვარიანად უსწრებდა...

— მართალი brძანდებით, მაგრამ მთელი ჩემპიონატის განმავლობაში ერთი რიტმის შენარჩუნება შეუძლებელია. გარდა ამისა, ნუ დავივიწყებთ, რომ წლის დასაწყისში რამდენიმე ფეხბურთელი დაგვიშავდა, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მადრიდელებმა ძალები მოიკრიბეს და გამარჯვება გამარჯვებას მიაწყვეს და სწორედ ამან გახადა ბოლო ტურები ასე დრამატული. საბედნიეროდ, ბოლო ტურებში ჩვენც დავიბრუნეთ უწინდელი ფორმა და ეს დიდ იმედს გვაძლევს.

— ცოტა ხნის წინ ჩემპიონთა ლიგის ფინალი ვიხილეთ. თამაშის ცქერისას ხომ არ გაგიჩნდათ აზრი, რომ იქ, თავისუფლად შეიძლებოდა, „ბარსელონა“ ყოფილიყო?

— რასაკვირველია. სამწუხაროა, „ლივერპულმა“ საკმაოდ ადრე რომ გამოგვთიშა შეჯიბრებიდან. შემდეგ ჩვენ უკვე თვალს ვადევნებდით, როგორ გავიდა ფინალში თავად, მაგრამ ეს არაფერი. მომავალ სეზონში ყველაფერი თავიდან დაიწყება და ჩვენც თავიდან მოგვეცემა ტიტულის მოპოვების შესაძლებლობა.

— შარშანდელი ფინალი თქვენ ტრავმის გამო გამოტოვეთ...

— დიახ, ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა და გამარჯვება ჩემი ოცნებაა, თუმცა ის, რომ შარშან პირადად ვერ ვითამაშე, სულაც არ ამცირებს ჩემს სიხარულს გუნდის გამარჯვების გამო.

— მას მერე, თქვენ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად გასახელებენ. თქვენმა რამდენიმე თანაგუნდელმა, მაგალითად, ძამბროტამ და სავიოლამ სულაც საუკეთესოდ დაგასახელათ...

— არა, არა (იცინის). რაც მათ თქვეს, ჩემთვის დიდი პატივია, მაგრამ ასეც არ არის. დიახ, მე ყოველ თამაშში ვცდილობ, რაც შემიძლია, გამოვამჟღავნო და გუნდს გამარჯვებაში დავეხმარო, მაგრამ მსოფლიოში საუკეთესო არ ვარ.

— კი მაგრამ, „ხეტაფეს“ კარში გატანილი გოლი? განა ასეთის გატანა მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელ ფეხბურთელებს არ შეუძლიათ? როგორ გახსენდებათ ეს ორი თვის წინანდელი ამბავი?

— ასეთი გოლის გატანა ნამდვილად განსაკუთრებული ამბავი იყო და ვერც გეტყვით, შევძლებ კი ოდესმე იგივეს გამეორებას? იმ მომენტის გახსენება დღესაც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. ეს არასოდეს დამავიწყდება.

— კეთილი, თქვენ არა ხართ. მაშ, ვინ არის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი?

— მე მუდამ ერთსა და იმავეს ვამბობ — ეს რონალდინიოა. ის ძალიან შთამბეჭდავი ფეხბურთელია, რომელსაც ერთ წამში შეუძლია თამაშის ბედის მოტრიალება. რაც ჩვენ „ბარსელონაში“ ერთად ვართ, ვცდილობ, მისგან მეტი და მეტი ვისწავლო. ბოლოს და ბოლოს, ის ჩემი დიდი მეგობარიცაა.

— მაშ, მესის როდისღა დაადგამენ გვირგვინს?

— ვერ გეტყვით, ასეთი რამ ოდესმე მოხდება თუ არა, მაგრამ, აი, რას ვოცნებობ: მინდა, დღევანდელი მდგომარეობა, რაც შეიძლება, დიდხანს გაგრძელდეს.

— თქვენ „კამპ ნოუს“ სიმბოლოდ იქეცით და ამიტომ, მესის სხვა გუნდებში შესაძლო გადასვლაზე რომ ლაპარაკობენ, ძნელად დასაჯერებელია...

— საბედნიეროდ, ასეთ რაღაცებს აღარ ამბობენ. „ბარსელონა“ ჩემი სახლია, სადაც ყოველთვის კარგად მექცეოდნენ და არანაირი მიზეზი სხვაგან წასასვლელად არ მაქვს. ჩემი მიზანია, ამ გუნდის შემადგენლობაში, რაც შეიძლება, მეტი ტიტული მოვიგო.

— ესპანური ლა ლიგის დამთავრების შემდეგ თქვენ ახალი ბრძოლა გეწყებათ: კოპა ამერიკა. როგორ ხართ ამ შეჯიბრებაში საბრძოლველად განწყობილი?

— ძალიან მოტივირებული ვარ. როდესაც საქმე არგენტინის ნაკრებს ეხება, საგანგებო სტიმული მეძლევა. ძალიან მინდა, ჩემს ნაკრებს ვენესუელაში გავყვე.

— ტრადიცია ასეთია: არგენტინელებს კოპა ამერიკაზე გამარჯვება სხვა ნაკრებებზე მეტად უნდათ. ამ მხრივ, არაფერი შეცვლილა?

— ჩვენ მართლა ძალიან გვინდა გამარჯვება, თუმცა რონალდინიოსა და კაკას დარი ფეხბურთელებისაც მესმის. მათ კოპა ამერიკაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. ევროპული სეზონი ფეხბურთელს მთელს ძალ-ღონეს ართმევს და ამის მერე თავის ახალ ორომტრიალში ამოყოფა სასურველი ნამდვილად არ არის.

— „ვენესუელა 2007“ ლიონელ მესის პირველი სანაკრებო ტიტული ხომ არ გახდება?

— იმედი მაქვს, რომ ასეც იქნება. თუმცა, უპირველეს ყოვლისა, მინდა, ნაკრებში ამიყვანონ, შემდეგ მინდა, 11 კაცში ჩამრთონ, შემდეგ კი კარგად ვითამაშო. წინა კოპა ამერიკის ფინალში ბრაზილიასთან ბოლო წამს წაგების შემდეგ ჩვენ, არგენტინელებს ძლიერ გვინდა გამარჯვება.

— თითქმის ერთი წელიწადი სრულდება, რაც მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატიდან არგენტინა გერმანიამ გამოთიშა. იმ შეხვედრაში თქვენ არ გათამაშეს. მწარედ ხომ არ გახსენდებათ ეს ამბავი?

— არა, მწარედ ჩემი ართამაში კი არა, გავარდნა მახსენდება, რადგან დიდი მიზნები გვქონდა. რა თქმა უნდა, სიამოვნებით გავიდოდი მოედანზე გუნდის დასახმარებლად, მაგრამ მწვრთნელმა არ მათამაშა, მის გადაწყვეტილებას კი დიდ პატივს ვცემ. ისე, არ დაგიმალავთ და მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალიან ვღელავდი.

— 19 წლისა „ბარსას“ და მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი ხართ. კიდევ რა შეიძლება თქვენს მდგომარეობაში კაცმა ინატროს?

— არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული და „ბარსელონასთან“ ერთად ერთი დუჟინი ჩემპიონთა ლიგა.



# 18 კათხა ლუდი: მე მაპატიეთ!

**დანიელმა** მუშტისმქნეველმა ფანმა, რომელმაც შაბათს შვედეთთან მატჩისას მსაჯ ჰერბერტ ფანდელისკენ საცემად გაიწია, ქვეყანას მოუბოდიშა.

შეგახსენებთ, რომ ბიჭი მოედანზე 89-ე წუთზე შევარდა, როცა ანგარიში 3:3 იყო და ფანდელმა მასპინძელთა კარში პენალტი დანიშნა. ფანმა, ვისაც გაზეთები R-ად მოიხსენიებენ, მსაჯს მარცხენა ყურში შემოარტყა ცაცია, მარჯვენა კი ვეღარ დაჰკრა, რადგან დანიის ნაკრების ფეხბურთელმა გააჩერა.

„ძალიან, ძალიან, დიდი ბოდიში მინდა მოვუხადო მთელ ქვეყანას — თქვა მან — ფანტასტიკური საღამო ჩავუშწარე ქომაგებს“.

29 წლის R-მა განაცხადა, რომ თამაშამდე 15 თუ 18- კათხა ლუდი ჩაარაკრაკა და ბუნდოვნად ახსოვს სტადიონზე შეჭრა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ახალი ლიპი რანიერია



**ტურინის** „იუვენტუსის“ ახალ მწვრთნელად კლაუდიო რანიერი დაინიშნა. მას მერე, რაც მან „პარმა“ დატოვა, ყველა ელოდა „მანჩესტერ სიტის“ თავკაცად დანიშვნას — ამბობდნენ, კონტრაქტი უკვე გაფორმებულიაო, მაგრამ...

იტალიური პრესის ცნობით, კონტრაქტი სამწლიანია.

გეხსომებათ, „ბებერი ქალბატონის“ მწვრთნელობის ფავორიტი მარჩელო ლიპი იყო, მაგრამ ჭაღარა ტაქტიკოსი ჯერ ფეხბურთში დაბრუნებას არ აპირებს. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი მისი ვაჟის პროკურატურასთან პრობლემებია — დავიდეს საქმეზე გამოძიება ჯერ კიდევ გრძელდება.

აპენინური ჟურნალ-გაზეთების ცნობით, ლიპის მოსვლამდე პოსტის დროებით ჩაბარებას არ დათანხმდნენ ანტონიო კონტე, ჯანლუკა ვიალი და ჩირო ფერარა. „იუვეც“ ამის მერე გადაერთო კლაუდიო რანიერიზე.

**გიორგი ძაძაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## დავუბრუნდეთ რაფაელს

**THE PEOPLE-ის** ცნობით, მადრიდის „რეალი“ კვლავ ეცდება „ლივერპულიდან“ რაფაელ ბენიტესის გადაბირებას. ესპანელი მწვრთნელი ამტკიცებს, რომ კლუბის ახალ, ამერიკელ მფლობელებთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს, თუმცა სინამდვილეში ასე არ ყოფილა. ბენიტესი გაუბრაზებია იმას, რომ ამერიკელებმა მას გუნდის გასაძლიერებლად საკმარისი თანხა არ მიართვეს.

„რეალმა“ აქამდე ორჯერ შესთავაზა ესპანელს სამუშაო, მაგრამ ორჯერვე უარი მიიღო.

## ბელამი ექებს

**კრეიგ ბელამის** მომავალი კვლავაც გაურკვეველია. „ლივერპულის“ უელსელ ფორვარდს რაფაელ ბენიტესი აღარ სწყალობს და მის გაყიდვას აპირებს. ერთ-ერთი მყიდველთაგანია „ვესტ ჰემი“, რომელსაც „ლივერპულმა“ ფეხბურთელში 8 მილიონი გირვანქა მოსთხოვა. „ჩაქუჩები“ ბელამის, მათთან გადასვლის შემთხვევაში, კვირაში 70 ათას გირვანქას გადაუხდიან.

## მოდრიჩის მაღარო

**დონეცკის** „შახტარს“ ზაგრების „დინამოდან“ ხორვატი თავდამსხმელის, ლუკა მოდრიჩის ყიდვა უნდა — წერს „სპორტ-ექსპრესი“.

ზაგრებული კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ზდრავკო მამიჩმა განაცხადა, რომ დონეცკელებმა მათ 10 მილიონი ევრო შესთავაზეს, მაგრამ ფეხბურთელის გაშვებას დეკემბრამდე არ აპირებენ, რადგან „დინამოს“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი ელის.

## სანტანას ექიმი ელის

**„მარკას“** ცნობით, „სანტოსის“ 25 წლის ნახევარმცველი კლებერ სანტანა მადრიდის „ატლეტიკოში“ გადადის. საამისოდ მან ჯერ სამედიცინო შემოწმება უნდა გაიაროს და თუ რამე პრობლემა არ შეექმნება, მომავალ სეზონში პრიმერადივიზიონში ითამაშებს.

## ბარსას მესამე დარაჯი

**„ბარსელონას“** მეკარეების მწვრთნელმა ხუან კარლოს უნსუემ განაცხადა, რომ კლუბი მესამე მეკარის შეძენას აპირებს, რადგან 22 წლის რუბენის გარჯით უკმაყოფილოები არიან. რუბენი ვიქტორ ვალდესის და ალბერტ ხორკერას შემდეგ მესამეა და, ალბათ, მალე გაუშვებენ.

უნსუემ ისიც თქვა, რომ „ინდეპენდიენტედან“ მეკარე ოსკარ უსტარის ტრანსფერი, ალბათ, არ შედგება.

## სატურნიდან პორტუში

**პორტუგალიური** „ა ბოლას“ ცნობით, „პორტუს“ რუსული „სატურნიდან“ ჩერნიგორიელი ნახევარმცველის სიმონ ვუკჩევიჩის ყიდვა სურს.

პორტუელი გამთამაშებელი ანდერსონი რამდენიმე დღის წინ „მანჩესტერში“ გადავიდა და გუნდში ადგილი გათავისუფლდა, რომელიც ვუკჩევიჩმა უნდა შეავსოს.

## სერიჩი გააძევეს

**სპლიტის** „ჰაიდუკის“ მცველი ანტონ სერიჩი ხორვატია — რუსეთის ხვალინდელ მატჩში ვერ ითამაშებს. იგი ნაკრების მწვრთნელ სლავენ ბილიჩს გაებუტა, რადგან ძირითად შემადგენლობაში დაყენებაზე უარი უთხრეს. ნაწყენმა მცველმა ერთი-ორი მწარე სიტყვა უთხრა მწვრთნელს და ბილიჩმაც გუნდიდან დაითხოვა.

## ციმბალარმა ვეტრა ნახა

**მოსკოვის** „სპარტაკის“ ყოფილი ნახევარმცველი ილია ციმბალარი ლიტვის „ვეტრას“ მწვრთნელობაზე დათანხმდა. „სპორტ-ექსპრესის“ ცნობით, კონტრაქტს უახლოეს დღეებში გააფორმებენ, როცა ციმბალარი ვილნიუსში ჩავა.

„ვეტრას“, რომელიც მეექვსე ადგილზეა, ალექსანდრ ტარხანოვი წვრთნიდა, მაგრამ იგი გაათავისუფლეს. 38 წლის ილია ციმბალარი კი გასულ სეზონში რიაზანის „სპარტაკ-მეკ“-ს თავკაცობდა და გუნდი რუსეთის პირველ დივიზიონში გადაიყვანა.

## ტრაგიკული ვერტმფრენი

**სიერა-ლეონეში** ჩამოვარდა რუსული ვერტმფრენი მი-8, რომელშიც იჯდნენ ტოგოს ფეხბურთის ფედერაციის წევრები და ფანები. წინასწარი ინფორმაციით, 22 ადამიანი გარდაიცვალა.

## ოლეს მუხლი ივლისამდე

**„მანჩესტერის“** და ნორვეგიის ნაკრების ფორვარდმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა მუხლზე ოპერაცია გუშინ გაიკეთა, რის გამოც ივლისამდე ველარ ითამაშებს.

„ის კარგადაა — თქვა ექიმმა ტორ ეინარ ანდერსონმა — ნახევარსაათიანი ოპერაცია იყო. ივლისის დასაწყისში ვარჯიშს შეუდგება და პრემიერლიგის სეზონისთვის მზად იქნება“.

## ცრემლიანი კორლუკას გოგო

**ესტონეთთან** მოგებული მატჩის შემდეგ ხორვატიის ნაკრების მცველი ვედრან კორლუკა სტადიონიდან თვალცრემლიანი გავიდა და ჟურნალისტებს სთხოვა, რომ მისთვის არაფერი ეკითხათ.

ხორვატული მედიის ცნობით, ბიჭს შეყვარებულთან პრობლემები ვერ მოუგვარებია და ამიტომაც იცრემლებოდა ტალინში.



ტიერი ანრის „ბარსელონა“ ისევ ექაჩება

# ფრანგული ბარსელონა

**მომავალ** სეზონში „ბარსელონას“ მაისურაზე MADE IN FRANCE უნდა ეწეროს — ხუმრობდნენ გუშინ კატალონიური გაზეთები. საქმე ისაა, რომ ხუან ლაპორტას კლუბი „ლიონის“ განაპირა მცველ ერიკ აბიდალის, „მონაკოს“ ნახევარმცველ იაია ტურეს და „არსენალის“ ფორვარდ ტიერი ანრის შეძენას აპირებს.

ერიკ აბიდალი პრაქტიკულად უკვე ბარსელონელია. ფრანგმა კატალონიურ გრანდთან ოთხწლიან წინასწარ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა და ახლა „ლიონის“ პრეზიდენტ ჟან-მიშელ ოლას სთხოვს, ხელი არ შეუშალოს. ერიკი 27 წლისაა, დიდი ფიზიკური ძალის მქონე მარცხენა მცველი გახლავთ. დიდი გამოცდილება აქვს — ჩემპიონთა ლიგაში და მუნდიალზე უთამაშია.

საფრანგეთის ნაკრების მაისურა აბიდალმა 23 მატჩში მოიგო. მისი „ბარსელონაში“ გადაბარგება, სავარაუდოდ, „კამპ ნოუს“ გუნდის ახლანდელი ორი მარცხენა მცველიდან (სილვინიო და ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი) ერთ-ერთის წასვლას გამოიწვევს. ალბათ, „ბარსას“ უფრო ვან ბრონკჰორსტი დატოვებს, რომლის შეძენაც ჰოლანდიურ „ფეიენოორდს“ გადაუწყვეტია. აბიდალის სატრანსფერო ღირებულება კი 12 მილიონი ევროა.

ხუან ლაპორტას ბანაკი ბეჯითად მუშაობს იაია ტურეს ხელში ჩაგდებაზეც.

შესაძლო ბარსელონელი 23 წლისაა, 1,87 მეტრი სიმაღლის და უკვე 6 წელია, საფრანგეთის ჩემპიონატში თამაშობს.

თუ აფრიკელი კატალონიაში ჩავიდა, „კამპ ნოუს“ ან ჟოზე ედმილსონი დაემშვიდობება, ანაც ტიაგო მოტა.

ტურეს ღირებულება 15 მილიონ ევროს შეადგენს.

თქმა არ უნდა, ყველაზე დიდ ყურადღებას ტიერი ანრისთან დაკავშირებული სატრანსფერო პერიპეტიები იწვევს. წესით, ფრანგი ვარსკვლავი შარშან უნდა გადასულიყო „ბარსელონაში“, თუმცა მაშინ „არსენალის“ ერთგულება არჩია. ამ ამბებიდან 10 თვის შემდეგ „მეთოფეთა“ მოიერიშემ, ეტყობა, გადაწყვეტილება ინანა და „ბარსასთან“ მოლაპარაკება განაახლა.

დროს კი თავისი მიაქვს — ღლევანდელი ანრი ერთი წლით უფრო „ბებერია“, ცოტა ხანში ოცდაათისა გახდება. თან ფრანგს თებერვალში მიღებული ტრავმაც აწუხებს.

თუმცა ასაკისა და ტრავმიანობის მიუხედავად, „ბარსაში“ ანრის გადასვლის შესაძლებლობას სიხარულით ხვდებიან.

ადრე ლაპარაკი იყო ანრის სატრანსფერო ოპერაციაში სამუელ ეტოოს ჩართვაზე, თუმცა ფრანკ რაიკარდი ამის მომხრე არ არის — მწვრთნელს მიაჩნია, რომ ეტოოს გაცემით შემადგენლობას შეასუსტებს.

**ლადო ხომერიკი**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## ლი ბოიერი

ნახევარმცველი

დაიბადა 1977 წლის 3 იანვარს ლონდონში

სიმაღლე: 1,75 მეტრი

წონა: 62 კგ

კარიერა: 1993-96 წლები — „ჩარლტონი“ (46 მატჩი, 8 გოლი), 1996-2003 წლები — „ლიდსი“ (203 მატჩი, 38 გოლი), 2003 წელი — „ვესტ ჰემი“ (10 მატჩი, 0 გოლი), 2003-06 წლები — „ნიუკასლი“ (79 მატჩი, 6 გოლი), 2006 წლიდან — „ვესტ ჰემი“ (20 მატჩი, 0 გოლი)

ინგლისის ნაკრებში 1 მატჩი (2002 წელს)





## PORSCHE 911

გამოშვების თარიღი: 2005 წელი

სიგრძე: 4,427 მეტრი

სიგანე: 1,852 მეტრი

სიმაღლე: 1,310 მეტრი

წონა: 1 650 კგ

ცილინდრი: 6

ძრავის კუბატურა: 3,6

ავტომატური გადაცემათა კოლოფი

სიჩქარე: 240 კმ/სთ

100 კმ/სთ-ს ავითარებს 4,8 წამში

ფასი: 73 000 დოლარი

# მე თქვენ გაჩვენებთ ნამდვილ შევჩენკოს!

## ინტერმა უკრაინელი ადრიანოს დაატოლა

**ანდრეი შევჩენკოს** „მილანში" დაბრუნებაზე სულ უფრო და უფრო მეტს ლაპარაკობენ. „შავ-წითლებმაც" უკვე არაერთხელ თქვეს, ჩვენი კარი უკრაინელისთვის ყოველთვის ღია იქნებაო, მაგრამ... ახლა შევამ განაცხადა, „ჩელსიში" დარჩენა მინდაო.

„ლონდონში ბედნიერი ვარ. მომეცით დრო და მომავალ სეზონში ნამდვილ შევჩენკოს ნახავთ. ვიცოდი, რომ „ჩელსიში" ჩაჯდომა ძალიან ძნელი იქნებოდა. ახალ გუნდთან და ცხოვრებასთან შეგუება ადვილი არ არის. ერთი სიტყვით, რთული სეზონი მქონდა. მინდა, ხალხმა ცოტა დრო და შანსი მომცეს და ყველას ვაჩვენებ, რეალურად რა შემიძლია" — აღნიშნა 30 წლის თავდამსხმელმა „სანთან" საუბარში.

იტალიური „კორიერე დელო სპორტი" კი გვამცნობს, რომ „ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატი სენსაციურ ტრანსფერს გეგმავს. მას შევჩენკოს ხელში ჩაგდება განუზრახავს და სანაცვლოდ „ჩელსის" ადრიანოს სთავაზობს.

**ქოქი ქანდელაკი**



# ფიორენტინა ჭაბუკებს ეძებს

**ფლორენციის** „ფიორენტინამ" ორი ახალგაზრდა ჩეხი ფეხბურთელის, ონდრეი მაზუჩისა და იან ჰაბლეს შეძენის შემდეგ ბრიუსელის „ანდერლეხტიდან" ნიჭიერი მცველი ენტონი ვანდენ ბორეც დაიმატა. 20 წლის ფეხბურთელმა, რომელსაც დაცვის ცენტრშიც შეუძლია თამაში და ფლანგზეც, ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ვანდენ ბორე 2004 წლიდან ბელგიის ნაკრებშიც თამაშობს და მასზე დიდ იმედებს ამყარებენ, თუმცა იგი კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაშია დაბადებული. „ანდერლეხტის" აწ უკვე ექსმცველს „ბაიერნი", „ინტერი", „ბარსელონა", „იუვენტუსი" და „ტოტენჰემიც" ეპატიჟებოდნენ.

„ფიორენტინა" კი ამაზე შეჩერებას არ აპირებს და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი ამოუღია მიზანში. მათ შორის, კიევოელი ფრანკო სემიოლი და პალერმოელი ანდრეა ბარძალი. თუმცა ორივე მათგანს, განსაკუთრებით, ბარძალის, სხვა მრავალი მსურველიც ჰყავს.

„ბარძალის შეუძლია წავიდეს, თუ მისი რომელიმე მსურველი 17 მილიონ ევროს გადაიხდის" — თქვა „პალერმოს" პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ.

იტალიური პრესის ცნობით, სიცილიელები, შესაძლოა, იმ 12-13 მილიონსაც დაჰყაბულდნენ, რომელსაც „ფიორენტინა" იხდის. ამბობენ, ფლორენციელები 26 წლის ბარძალის ოთხწლიან კონტრაქტს და სეზონში 2,1 მილიონ ევროს სთავაზობენო.

თუ „იებს" აქედან არაფერი გამოუვიდათ, ალტერნატიული ვარიანტებიც აქვთ — ჩეზარე ბოვო, კრისტიან ძაკარდო ან ჩეზარე ნატალი.

**ქოქი ქანდელაკი**

## სევილიას ხორვატი

**ხორვატიის** ნაკრების და ზაგრების „დინამოს" ფორვარდი ედუარდო და სილვა „სევილიას" ძალიან მოსწონს და ზაგრებელებს ფასზე ევაჭრება. და სილვა ჩემპიონატის მთავარმეგოლე გახდა, შაბათს კი მისი გატანილით ხორვატიამ ესტონეთს მოუგო.

„ასის" ცნობით, „დინამო" თავდამსხმელის სანაცვლოდ 10 მილიონ ევროს ითხოვს.

## ალვეში ლიგისთვის

**გერმანიის** ჩემპიონი „შტუტგარტი" მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს და შემადგენლობის გაძლიერებას ეშურება. მათ „ჰერენვენის" ბრაზილიელი ფორვარდის ალფონსო ალვეშის ყიდვა უნდათ, რომელმაც ჰოლანდიის ჩემპიონატში 31 მატჩში 34 გოლი გაიტანა.

26 წლის თავდამსხმელის კონტრაქტი კლუბთან 2011-ში იწურება, მისი ფასი კი 10 მილიონი ევროა.

## ეი ჯეის ჩაქუჩი

**„ვესტ ჰემმა"**, რომელმაც პრემიერლიგის ბოლო ტურში მოგებით შეინარჩუნა ადგილი ელიტაში, შეტევის გაძლიერება გადაწყვიტა და „ევერტონიდან" ენდრიუ ჯონსონის ყიდვა სურს.

„დეილი მეილის" ცნობით, „ჩაქუჩები" ეი ჯეის სანაცვლოდ 13 მილიონი გირვანქის გადახდაზე ყაბულს არიან.

## რეიესის სეირი უკან

**ხოსე ანტონიო რეიესის** აგენტმა ხესუს როდრიგეს დე მოიამ „მიროართან" ინტერვიუში განაცხადა, რომ მის კლიენტს „სევილიაში" დაბრუნება სურს.

რეიესი სამი წლის წინ „სევილიადან" გადავიდა „არსენალში", შარშან კი მადრიდის „რეალს" ათხოვეს.

„ყოფილი კლუბი რეიესს ძალიან მოუხდება, მაგრამ ჯერ გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი. ფეხბურთელს სამი ესპანური და ერთი უცხოური კლუბი ეპატიჟება, მაგრამ მას ისევ სევილიელებთან უნდა დაბრუნება" — თქვა დე მოიამ.

## დოლარები ანდორისგან

**რუსეთის** ნაკრების ფეხბურთელები ანდორასთან გამარჯვებისთვის 10-10 ათას დოლარს მიიღებენ. ისინი, ვინც განაცხადში იყვნენ და მოედანზე არ შესულან — ხუთ-ხუთს. ექიმებს, მასაჟისტებს და სამწვრთნელო შტაბის წევრებს ორ-ორს მისცემენ.

ხვალ რუსები ხორვატებს სტუმრობენ და ჯგუფის ლიდერთან მოგების შემთხვევაში ოთხჯერ მეტს, ანუ 40-40 ათასს ჩაიჯიბავენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჟილამ არასაფეხბურთო კარისკენ გაიხედა

## ანრი გვინდა, ემერსონი გამოგვადგება

**ალბერტო ჟილარდინოს** „მილანში" საქმე იდეალურად არ აქვს და თავადაც თქვა, რომ ამ ზაფხულს, შესაძლოა, გუნდი დატოვოს, მაგრამ მისი ნება რომ იყოს, სიამოვნებით დარჩებოდა. იგი „პარმადან" 2005 წლის ზაფხულში გადავიდა „მილანში" და ორ სეზონში სერია A-ში 29 გოლი გაიტანა.



„როსონერის" მწვრთნელი კარლო ანჩელოტი, უმეტესად, ერთი გამოკვეთილი ფორვარდით თამაშობს ხოლმე, რომლის უკანაც კაკა და ზეედორფი არიან. გამოკვეთილი თავდამსხმელის პოზიციაზე კი ჟილას გარდა „მილანს" რონალდო და ფილიპო ინძაგი ჰყავს, რიკარდო ოლივეირა რომც აღარ ვახსენოთ.

ამბობენ, „შავ-წითლები" კიდევ ერთ ფორვარდს დაიმატებენო. ასე რომ, არადამაჯერებლად მოთამაშე ჟილარდინოს საქმე საკმაოდ რთულადაა...

„სიტუაცია მარტივია, მე „მილანში" ბედნიერი ვარ, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ დავრჩები. კლუბთან ხანგრძლივი კონტრაქტი მაკავშირებს, კარგი ურთიერთობა მაქვს ყველასთან, თუმცა... ვფიქრობ, ლოგიკურია, რომ 25 წლის ასაკში რეგულარულად თამაში მინდა და ჩემს გარშემო გაჩენილი ეჭვები არ მსიამოვნებს. ვიმეორებ, დარჩენა მინდა, მაგრამ სხვა კლუბების წინადადებებსაც განვიხილავ. ეს რომ არ მეთქვა, გულახდილი არ ვიქნებოდი" — აღნიშნა ჟილამ, ვისაც გულში ჩარჩენია ჩემპიონთა ლიგის ფინალიც, რომელშიც ანჩელოტიმ ძირითად შემადგენლობაში ვეტერანი ფილიპო ინძაგის დაყენება არჩია და არც შემცდარა — „სუპერპიპომ" დუბლი გააზერხა და მატჩის გმირი გახდა.

ალბერტო ჟილარდინო: „მეგონა, ათენში ძირითადში მოვხვდებოდი. როცა გავიგე, ასე არ იქნებოდა, გული დამწყდა. თუმცა გუნდის ინტერესებსა და მწვრთნელის გადაწყვეტილებას ყოველთვის პირად ამბიციებზე წინ ვაყენებ. ვეცადე, მინდორზე გატარებულ იმ რამდენიმე წუთში მაქსიმუმი გამეკეთებინა. საბოლოოდ კი „ლივერპულთან" მოგებამ და თასის მოპოვებამ ყველა გულდაწყვეტა და იმედგაცრუება დამავიწყა".

„მილანს" რონალდინიოს, სამუელ ეტოოსა და სხვა ვარსკვლავებს უკავშირებენ. არის ანდრეი შევჩენკოს დაბრუნების ვარიანტიც.

თუ „როსონერი" კიდევ ერთი მაღალი კლასის ფორვარდით გაძლიერდება, რას იზამს ჟილარდინო?

„კონკურენცია არ მაშინებს — ამბობს იგი — ჩემი ადგილის მონახვა აქამდე არ გამჭირვებია, მიუხედავად იმისა, რომ გუნდში შევჩენკოს, ვიერის, რონალდოსა და ინძაგის დარი ფორვარდები იყვნენ და არიან. სამართლიანი კონკურენციის პირობებში თამაშის უფლებას ის თუ მიიღებს, ვინც უკეთეს ფორმაში იქნება, პრობლემა ნამდვილად არ არის".

ბოლოხანს იტალიაში ხმები გავრცელდა, ჟილარდინომ თავი „ინტერს" შესთავაზაო... მას „ბარსელონასა" და „იუვენტუსსაც" უკავშირებენ.

„თავი არავისთვის შემითავაზებია. „ინტერის" თაობაზე ჭორები ჟურნალისტებმა მოიგონეს. „ბარსელონა" და „იუვენტუსი" კი ბრწყინვალე გუნდები არიან და მსიამოვნებს იმის მოსმენა, რომ ისინი დავაინტერესე. თუმცა „მილანი" ჩემთვის საუკეთესოა და ძნელად წარმომიდგენია აქედან წასვლა. არ მინდა, ასე მოხდეს. სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდები, რატომ გაჩნდა ჩემზე ამდენი ეჭვი და კითხვა" — დასძინა ჟილამ.

ამ კომენტარებზე „მილანის" უფროსობიდან პასუხმა არ დააყოვნა — ანჩელოტიმ მშვიდად განაცხადა, თუ ჟილას წასვლა უნდა, წავიდესო...

„თუ ალბერტო გრძნობს, რომ წასვლა აჯობებს და ამაზე ფიქრობს, ვერ ვხედავ მიზეზს, რის გამოც მას ხელი უნდა შევუშალოთ. როგორც კი სათანადო შემცვლელს ვიპოვით, მას გავუშვებთ. სულ ცოტა ხნის წინ მშვიდად და ჩვეულებრივად იყო. არ ვიცი, რატომ გააკეთა ასეთი კომენტარები. მას ყოველთვის ვენდობოდით და გუნდისთვის მნიშვნელოვან ფიგურად მივიჩნევ. თუმცა ერთადერთი ფეხბურთელი, ვისაც კლუბის ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული აქვს, კაკაა. თავდასხმაში დიდი კონკურენციაა და ვფიქრობ, ჟილას ეს უნდა ესმოდეს და დამატებით სტიმულს აძლევდეს. მით უმეტეს, იგი ჯერ ახალგაზრდაა და ბევრად მეტი შეუძლია".

კარლეტომ დაადასტურა, რომ „მილანს" ამ ზაფხულს მაღალი კლასის ნახევარმცველისა და თავდამსხმელის შეძენა სურს. კანდიდატებს შორის არიან ემერსონი და ტიერი ანრი...

„გვინდა, გუნდი უფრო ძლიერი გავხადოთ. რასაც ჩვენს სატრანსფერო გეგმებზე პრესაში კითხულობთ, მეტ-ნაკლებად, მართალია. გვსურს, ნახევარმცველისა და ფორვარდის დამატება. უკვე მიდის მოლაპარაკებებიც. ანრი? იგი ბრწყინვალე ფორვარდია და მისით ნამდვილად ვართ დაინტერესებულნი. თუმცა ვინმეს დასახელება არ მინდა, ადრეა ამაზე ლაპარაკი. რაც შეეხება ემერსონს, ვფიქრობ, იგი „მილანს" გამოადგებოდა" — განაცხადა ანჩელოტიმ.

**გიორგი ქაქაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სამხრეთ ამერიკის სუპერ თასი | | | | | | |
| | | 7 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 225 | ინტერნასიონალი-პაჩუკა | 1.80 | 3.20 | 3.90 | 1.15 | 1.23 | 1.75 |
| | | ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 6 ივნისი | | | | | | |
| 22:30 | 127 | საბერძნეთი-მოლდოვა | 1.16 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.07 | 4.53 |
| 22:30 | 129 | ხორვატია-რუსეთი | 1.95 | 3.10 | 3.90 | 1.19 | 1.30 | 1.72 |
| 17:00 | 130 | ყაზახეთი-აზერბაიჯანი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 20:00 | 131 | ანდორა-ისრაელი | 30.00 | 10.00 | 1.05 | 7.50 | 1.01 | 1.00 |
| 20:15 | 133 | ფარერები-შოტლანდია | 22.00 | 6.70 | 1.12 | 5.13 | 1.06 | 1.00 |
| 21:00 | 135 | ნორვეგია-უნგრეთი | 1.42 | 3.90 | 8.50 | 1.04 | 1.21 | 2.67 |
| 21:00 | 136 | ბულგარეთი-ბელარუსი | 1.32 | 4.40 | 9.50 | 1.01 | 1.15 | 3.00 |
| 21:15 | 137 | ფინეთი-ბელგია | 2.25 | 3.10 | 3.10 | 1.30 | 1.30 | 1.54 |
| 22:30 | 138 | გერმანია-სლოვაკეთი | 1.23 | 5.30 | 12.00 | 1.00 | 1.11 | 3.67 |
| 22:00 | 140 | რუმინეთი-სლოვენია | 1.30 | 4.50 | 11.00 | 1.00 | 1.16 | 3.19 |
| 22:15 | 141 | შვედეთი-ისლანდია | 1.18 | 6.00 | 15.00 | 1.00 | 1.09 | 4.28 |
| 22:15 | 143 | ლუქსემბურგი-ალბანეთი | 6.50 | 3.80 | 1.48 | 2.39 | 1.20 | 1.06 |
| 22:15 | 145 | ბოსნია-მალტა | 1.18 | 6.00 | 13.00 | 1.00 | 1.08 | 4.10 |
| 22:30 | 147 | ლიხტენშტაინი-ესპანეთი | 45.00 | 9.00 | 1.04 | 7.50 | 1.01 | 1.00 |
| 19:30 | 149 | სასომხეთი-პოლონეთი | 10.00 | 4.60 | 1.30 | 3.15 | 1.15 | 1.01 |
| 22:30 | 151 | ესტონეთი-ინგლისი | 13.00 | 4.80 | 1.25 | 3.50 | 1.14 | 1.00 |
| 22:30 | 153 | ლატვია-დანია | 6.00 | 3.70 | 1.55 | 2.28 | 1.23 | 1.09 |
| 22:45 | 155 | ლიტვა-იტალია | 9.00 | 4.20 | 1.35 | 2.86 | 1.17 | 1.02 |
| | | ეჩ. შესარჩევი მატჩები(21) | | | | | | |
| | | 5 ივნისი | | | | | | |
| 19:45 | 215 | მალტა (21)-რუმინეთი (21) | 7.50 | 4.40 | 1.30 | 2.77 | 1.10 | 1.00 |
| 22:30 | 216 | ბელგიუმი (21)-[illegible] (21) | 1.52 | 3.50 | 5.50 | 1.05 | 1.19 | 2.13 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 217 | სლოვენია (21)-ლიტვა (21) | 1.60 | 3.40 | 4.65 | 1.08 | 1.19 | 1.96 |
| | | 6 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 218 | უკრაინა (21)-სასომხეთი (21) | 1.20 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.33 |
| | | ამხანაგური მატჩები | | | | | | |
| | | 5 ივნისი | | | | | | |
| 14:20 | 157 | იაპონია-კოლუმბია | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 22:00 | 158 | ბრაზილია-თურქეთი ნ | 1.65 | 3.40 | 4.70 | 1.11 | 1.22 | 1.97 |
| 23:45 | 159 | იამაიკა-ჩილე | 3.60 | 3.30 | 1.85 | 1.72 | 1.22 | 1.18 |
| 23:45 | 160 | მექსიკა-პარაგვაი | 1.70 | 3.30 | 4.55 | 1.12 | 1.23 | 1.91 |
| 22:00 | 161 | კუვეიტი-პორტუგალია | 13.00 | 5.20 | 1.18 | 3.71 | 1.08 | 1.00 |
| 22:30 | 206 | არგენტინა-ალჟირი ნ | 1.18 | 5.00 | 12.00 | 1.00 | 1.07 | 3.52 |
| | | საერთაშორისო ტურნირი ტულონში (20) | | | | | | |
| | | 5 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 204 | ჩინეთი 20-განა 20 | 2.30 | 3.00 | 2.90 | 1.30 | 1.28 | 1.47 |
| 21:00 | 205 | პორტუგალია 20-პოლანდია 20 | 2.10 | 3.10 | 3.10 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| | | ეჩ. შესარჩევი მატჩები(19)-შვეიცარია | | | | | | |
| | | 5 ივნისი | | | | | | |
| 21:30 | 226 | სერბეთი 19-რუმინეთი 19 | 2.60 | 2.90 | 2.60 | 1.37 | 1.29 | 1.37 |
| 21:30 | 227 | შვეიცარია 19-დანია 19 | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | ოქროს თასი 2007 (აშშ) | | | | | | |
| | | 6 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 228 | ჰაიტი-გვადელუპა | 1.50 | 3.40 | 6.20 | 1.04 | 1.20 | 2.19 |
| 23:45 | 229 | კოსტა რიკა-კანადა | 1.50 | 3.50 | 5.60 | 1.04 | 1.18 | 2.15 |
| | | 7 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 230 | აშშ-გვატემალა | 1.20 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.43 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 231 | ტრინიდადი და ტობაგო-სალვადორი | 1.55 | 3.50 | 5.20 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| | | შვედეთ. თასი | | | | | | |
| | | 6 ივნისი | | | | | | |
| 17:00 | 169 | მიალბი-ელფსბორგი | 3.80 | 3.30 | 1.80 | 1.76 | 1.22 | 1.16 |
| | | ბრაზილიის თასი | | | | | | |
| | | 6 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 170 | ფიგეირენსე-ფლუმინენსე | 2.05 | 3.00 | 3.30 | 1.21 | 1.26 | 1.57 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 6 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 171 | სანტოსი-გრემიო | 1.50 | 3.50 | 5.90 | 1.04 | 1.19 | 2.19 |
| | | 7 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 172 | ბოკა ხუნიორსი-კუკუტა | 1.30 | 4.20 | 9.50 | 1.00 | 1.14 | 2.91 |
| | | ჩოგბურთი ქალები | | | | | | |
| | | Roland Garros | | | | | | |
| | | 5 ივნისი | | | | | | |
| 13:00 | 209 | კუზნეცოვა-ივანოვიჩი | 1.50 | 2.30 | | | | |
| 13:00 | 210 | შარაპოვა-ჩაკვეტაძე | 1.40 | 2.50 | | | | |
| 13:00 | 211 | ენენი-ს უილიამსი | 1.40 | 2.40 | | | | |
| 13:00 | 212 | იანკოვიჩი-ვაიდიშოვა | 1.35 | 2.65 | | | | |
| | | ჩოგბურთი კაცები | | | | | | |
| | | Roland Garros | | | | | | |
| | | 5 ივნისი | | | | | | |
| 14:00 | 207 | დავიდენკო-კანასი | 1.80 | 1.80 | | | | |
| 14:00 | 208 | ფედერერი-რობრედო | 1.04 | 8.00 | | | | |

## შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

### ოლიმპიზმი


ჩიხარა იგაია




# პიონჩანი უნაკლოა
## კენჭისყრამდე ერთი თვით ადრე კორეელები ლიდერობენ

**გუშინ**, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის ვინაობის გამოცხადებამდე ზუსტად ერთი თვით ადრე, ამ ორგანიზაციის შემფასებელმა კომისიამ სამივე კანდიდატ ქალაქზე: სოჭზე, ზალცბურგზე და პიონჩანზე, თავისი 85-გვერდიანი დეტალური მოხსენება გამოაქვეყნა.

„მე სრულიად კმაყოფილი ვარ შემფასებელი კომისიის წევრთა მუშაობით და მათი მოხსენების ხარისხით — ამბობს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი და იმავდროულად შემფასებელი კომისიის მეთაური ჩიხარა იგაია — მოხსენება ოლიმპიური მოძრაობის ორ ოფიციალურ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე წარმოადგინეს, რაც სოკ-ის საიტზეც გამოქვეყნდა და ოლიმპიური ოჯახის წევრებსაც დაურიგდათ. პირადად მე რაც შემეხება, სოკ-ის სესიამდე შინ, ტოკიოში ვიმუშავებ, ხოლო სამივე კანდიდატ ქალაქს გვატემალაში გასამართ სოკ-ის სესიაზე კენჭისყრისას წარმატებას ვუსურვებ."

მანამდე კი ამ მოხსენების ირგვლივ პირველი კომენტარებიც კეთდება. ანგარიშის ტექსტიდან გამომდინარე, გამოდის, რომ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის ყველაზე მეტი შანსი პიონჩანს აქვს. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ამ სამხრეთკორეული ქალაქის განაცხადმა დაიმსახურა ყველაზე მაღალი შეფასება და მას ნაკლი ვერ უპოვეს.

„პიონჩანმა ოლიმპიადის ჩატარების დეტალური გეგმა წარმოადგინა. შემფასებელი კომისიის წევრთა იქ ყოფნის დღეებში ქალაქის მესვეურთა მიერ ინფორმაციის მოწოდებამ და ქალაქის პრეზენტაციამ ჩვენი ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა" — ნათქვამია კომისიის მიერ წარდგენილ ანგარიშში.

სოჭის დახასიათებისას კომისიის წევრები წერენ, რომ ამ ქალაქის განაცხადი და პრეზენტაცია მაღალ დონეზე იყო, მასში მონაწილეობდნენ ინვესტორები და მთავრობის წევრები. სოჭის გარანტიები, კომისიის შეფასებით, „ძირითადად, მაღალ დონეზეა", მთავარი ნაკლი კი აუშენებელი ბაზების სიმრავლეა.

რაც შეეხება ზალცბურგს, შემფასებელი კომისიის წევრები წერენ, რომ პრეზენტაციაში მთავრობის დიდმოხელენი და ინვესტორები მონაწილეობდნენ, დოკუმენტაცია კი იყო „ძირითადად, კარგი ხარისხის, თუმცა ზოგჯერ დეტალურობა აკლდა".

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# რიჩარდსონი პეკინს ბოიკოტით ემუქრება

**დემოკრატიული** პარტიიდან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატმა, ნიუ მექსიკოს შტატის გუბერნატორმა ბილ რიჩარდსონმა განაცხადა, რომ იგი პეკინის ოლიმპიური თამაშების წინააღმდეგ გამოვა, თუ ჩინეთი ხელს არ შეუწყობს სუდანში, დარფურის რაიონში მოსახლეობისადმი გენოციდის შეჩერებას.

ჩინეთი სუდანისგან ნავთს ყიდულობს, სამაგიეროდ კი მას ამარაგებს იარაღით, რომელსაც, როგორც ვარაუდობენ, დარფურში პროსახელისუფლებო შეიარაღებული ფორმირებები მოქალაქეების გასანადგურებლად იყენებენ. ბილ რიჩარდსონმა ეს ნიუ ჰემფშირის შტატში, ტელეკომპანია CNN-ის მიერ მოწყობილი ტელედებატებისას განაცხადა.

ამერიკის ამჟამინდელ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს თეთრ სახლში ყოფნის ვადა 2009 წლის იანვარში ეწურება, ამ დროისთვის კი პეკინის ოლიმპიური თამაშები ჩავლილი იქნება. ეგ კია, რიჩარდსონი, რომელიც დემოკრატ ბილ კლინტონის პრეზიდენტობისას გაეროში აშშ-ის ელჩი იყო, რესპუბლიკელთა ადმინისტრაციაშიც ავტორიტეტით სარგებლობს. კერძოდ, ამას წინათ ბუშის ადმინისტრაციის დავალებით იგი ჩრდილოეთ კორეაში იყო და ამ კაცის სიტყვას ამერიკის ორივე წამყვანი პარტიის წარმომადგენლები ყურს უგდებენ და ანგარიშს უწევენ.

# ძრწოდეთ ვირთხებო!

**პეკინის** ოლიმპიურ თამაშებზე ჩინელები ბრძოლას არა მხოლოდ მედლების მოსაპოვებლად აპირებენ, არამედ თავიანთი მავნე ჩვეულების, მათ შორის, ბილწსიტყვაობის და ფურთხების წინააღმდეგაც; ისინი ბრძოლას აპირებენ ქარის წინააღმდეგაც, რამაც შარშან ამ დროს პეკინის ქუჩები ქვიშით გაავსო. ახლა ცნობილი გახდა, რომ ჩინეთის ჯანდაცვის სამინისტრო ოლიმპიურ ობიექტებში, მათ შორის ოლიმპიურ სოფელშიც, პარაზიტების წინააღმდეგაც იბრძოლებს. საამისოდ სამინისტროს სისტემაში შემავალი 160 თანამშრომელი დაირაზმება და ავადმყოფობის გადამტან პარაზიტებს შეესევა. ეს პარაზიტებია: თაგვები, ვირთხები, შავი ხოჭოები, ბაღლინჯოები, ტილები, რწყილები, მოსკიტები და მისთანები...

ჩინელები ფიქრობენ, რომ ეს პარაზიტები ოლიმპიელთა ჯანმრთელობას ემუქრებიან. მათი ნაკბენი სპორტსმენებს არა მხოლოდ ძილს დაუფრთხობს, არამედ მთელ ოლიმპიურ თამაშებსა და მის შედეგებზეც მოახდენს გავლენას. ამიტომაც ჯანდაცვის სამინისტროს მუშაკნი პარაზიტებისგან ადამიანებზე დაავადებათა გადატანის აღსაკვეთად სწავლების კურსს გაივლიან და საქმესაც შეუდგებიან.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# საკუთარმა მინდორმა ცხენი არ უნდა დაგიკოჭლოს!



რონ მარგიანი და „ზეცა“

**საქართველოს** პირადი ჩემპიონატი დაბრკოლებათა გადალახვაში უკვე დადგენილი წესით 26 მაისს უნდა გამართულიყო, მაგრამ ბაქოში, კასპიის ზღვის აუზის ქვეყნების ღია ტურნირზე მონაწილეობამ ჩვენს მხედრებს ივნისის დამდეგისთვის გადმოაწევინა შიდა ჩემპიონატი. ვერ ვიტყვით, ამ ერთკვირიან დაყოვნებას სასიკეთოდ არ უმოქმედიაო ცხენ-მხედრების საერთო მზაობაზე. სამწუხაროდ, ამას ვერ გავიმეორებთ საკონკურო მოედნის მდგომარეობაზე. არადა, პატარა ხელის შეშველება სჭირდებოდა, რომ დელისის იპოდრომის ეს ასპარეზი სანიმუშო სახით შეხვედროდა ამ მნიშვნელოვან შეჯიბრებას: თავის დროზე მორწყვა, წამოზრდილი ნარ-ეკლის გამომარგვლა, გრუნტის გაფხვიერება, შარშანდელი კავკასიის თასის ტურნირიდან დარჩენილი ნაფეხურების მოსწორება... მაგრამ, როგორც ჩანს, სხვა უფრო „დიდმა საზრუნავმა“ დაჩრდილა ყოველდღიური აუცილებელი საქმე. შედეგი კი საკმაოდ უსიამო გამოდგა... მაგრამ ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

წლევანდელი ჩემპიონი გახდა შარშანდელი გამარჯვებული ვანო ნორაკიძე („ფლოქვი“), მეორე იყო რონ მარგიანი („ხედი“-სპორტსკოლა), მესამე — გიორგი დათუნაშვილი („ლამპადა“). ახალგაზრდა ცხენებით იგივე კონკური („საქართველოს თასი“) მოიგო რონ მარგიანმა („ზეცა“ — სამხედრო ესკადრონი). ამჯერად ნორაკიძე („ეროსი“) მეორე დარჩა (წინა დღეს მან ორივე ასაკის ცხენებით ორფაზიან კონკურში გაიმარჯვა); III-IV ადგილები გაიყვეს ფოთელმა დენის ციგანკოვმა („ზღვა“) და ცოტნე ლაბაშიამ („სიგელი“).

თბილისის „ჟოკეიკლუბის“ ერთ-ერთი უძლიერესი მხედარი ცოტნე ლაბაშია მთავარ კონკურზე მხარში ვერ დაუდგა თავის თანაკლუბელებს — მისი ნაცადი ბედაური, 18 წლის ულაყი „პაგი“ სწორედ წინა დღის შეჯიბრებაში დაშავდა ზემოთქმული „კავკასიური თასის“ ჩაქვავებული ნაფეხურების გამო. ახალგაზრდა ცხენებით კი ამ ასპარეზობის პრიზები ნორაკიძესთან ერთად ჟოკეიკლუბელებმა გაინაწილეს: ლაბაშიამ და აფციაურმა („გედი“). ძირითადი ცხენებით კი ნორაკიძეს შალვა გაჩეჩილაძე („ასპარეზი“) და მარგიანი („ხედი“) მიჰყვნენ.

წლევანდელი ჩემპიონატის სასიამოვნო მოვლენად უნდა გავიაზროთ ფოთელი მხედრების ჩამოსვლა (როგორც ადრე მომიხდარა, მათ ახლაც აცილეს ქვეყნის პირველობას მხოლოდ თბილისელი სპორტსმენების ამარად დარჩენა). კახა ბებია, დენის ციგანკოვი, გოგიტა და თორნიკე კოდუები ბოლომდე პატიოსნად იბრძოდნენ და შინ პრიზიც წაიღეს. ეს ბიჭები და მათი მწვრთნელ-აღმზრდელები ნამდვილად იმსახურებენ უფრო მაღალი რანგის სპორტულ ბედაურებს...

ჩემპიონატზე ჭაბუკთა პირველობაც გათამაშდა. „ჟოკეიკლუბი“ თავის ჭაბუკებს კარგ, მომზადებულ ცხენებს უთმობს ხოლმე. ამჯერადაც ტურნირი გაალამაზა გიგა ჩუგუაშვილისა („სადაფი“) და გიორგი თოხაძის („სულგრძელი“) ორთაბრძოლამ. დამატებით ხტომებში თოხაძემ 2 წამით აჯობა თანატოლს.

**ნოდარ ეგრალიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა



მიშელ პიეტრუსისთვის საფრანგეთის ნაკრებში ადგილი არ მოინახა

## ბერჟეს 14 ფრანგი

**საფრანგეთის** ნაკრების თავკაცმა კლოდ ბერჟემ იმ 14 კალათბურთელის ვინაობა დაასახელა, რომლებისგანაც საევროჩემპიონატო შემადგენლობას აარჩევს. ბევრი ქომაგის გასაოცრად, გაფართოებულ შემადგენლობაში 3 ნბა-ელის ადგილი არ მოინახა. გოლდენსტეიტელი მიშელ პიეტრუსი და სიეტლელები — იოან პეტრო და მიშელ ჟელაბალიუ ფრანგებს ევროპის პირველობაზე არ დაეხმარებიან.

ბერჟეს თოთხმეტეულში 4 სხვა ნბა-ელია: ფინიქსელი ბორის დიაო, სანანტონიოელი ტონი პარკერი, დენვერელი იაკობუ დიავარა და ლეიკერსელი რონი ტურიაფი. ამათ გარდა, საფრანგეთის ნაკრებში მოხვდნენ: *ჟანო, სანვარე (ორიჰე ვილერბანი), გომიში (ვალიადოლიდი, ესპანეთი), მორანდე (ნაპოლი, იტალია), ფერშო (პო ორტეზი), კირკსე (ნანსი), ფლორიან პიეტრუსი (უნიკახა, ესპანეთი), ჟიფა (სტრასბური), ვეისი (ბილბაო, ესპანეთი), მაინში (პო ორტეზი).*

## ეფესი ექვსისთვის

**ევროპის** ჩემპიონატის დაწყებამდე ჯერ საკმაო დროა დარჩენილი, მაგრამ მისი მონაწილეები აქედანვე ადგენენ მზადების გეგმებს და აი, ერთ-ერთი ყველაზე წარმომადგენლობითი სპარინგ-ტურნირის ანონსიც: 22-დან 27 აგვისტომდე თურქეთის დიდქალაქი სტამბოლი „ეფეს პილსენის“ თასს უმასპინძლებს, რომელშიც ექვსი ნაკრები მიიღებს მონაწილეობას: სერბეთი, ხორვატია, ლატვია, პოლონეთი, ჩინეთი და თავად თურქეთი. ეს იქნება ბოლო ამხანაგური ტურნირი ესპანეთში გასამართი ევროპის ჩემპიონატის წინ. თავად ჩემპიონატი კი 3 სექტემბერს სერბეთ — რუსეთის მატჩით გაიხსნება.



# წითელი მთვარე ტალღებში ჩავარდა

**ზედიზედ** მესამე გამარჯვება და ახალზელანდიურ იახტას სულ ორი მოგებაღა აკლია ლუი ვუტონის თასამდე. „თიმ ნიუ ზილენდმა“ კვირას მოჯრით მესამე გაცურვაში აჯობა იტალიურ „ლუნა როსას“ და ძნელი სათქმელია, რაღამ უნდა შეუშალოს ხელი საბოლოო გამარჯვებაში.

„ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით, 3:0 თუ დავწინაურდებოდით — ხელებს შლის „კივების“ სტრატეგოსი რეი დევისი — ჩვენ თავიდანვე ვგეგმავდით ერთ-ორ წაგებას, რადგან „ლუნა როსა“ ძალზე ძლიერი გუნდია, ეკიპაჟიც და ნავიც გადასარევია. გაგვიმართლა, დღეს ჩვენმა ნავმა ძალზე სწრაფად იცურა და აჯობა მეტოქეს, რომელიც, კიდევ ვიტყვი და, ფანტასტიკურად ძლიერია. მაგრამ ერთს დავამატებ: ზოგჯერ სჯობს, იღბლიანი იყო, ვიდრე კარგი“.

მოკლედ, მოგებულთა ერთ-ერთმა მეთაურმა საკადრისი პატივი მიაგო დამარცხებულ იტალიელ მოწინააღმდეგეებს, რომლებიც სიმართლე ვთქვათ და, სულ უფრო და უფრო აგვიანებენ და აგებენ „თიმ ნიუ ზილენდთან“. პირველად ისინი 8 წამით ჩამორჩნენ მეტოქეს, მეორედ 40 წამით, მესამე გაცურვაში კი ფინიში წუთით და 38 წამით გვიან გადაკვეთეს და ამდენად, გამარჯვებულთა მხრიდან იღბალზე საუბარი და ასე ძლიერ ჩამორჩენილ მეტოქის ქება ყველა სიკეთესთან ერთად ზელანდიელთა ტაქტიანობაზე მიუთითებს.

ძნელია, 0:3 ჩამორჩენილი სერიის საბოლოოდ მოგებაა, მით უფრო, რომ იტალიელებს წაგების უფლება აღარც დარჩათ, საბოლოო გამარჯვება ხომ ხუთის მომგებს ჩაეთვლება. ამდენად „ლუნა როსა“, რომელმაც ნახევარფინალში სენსაცია გამოაცხო და ზეგარდმო ფავორიტი, ამერიკული „BMV ორეიკლი“ 5:1 გაანადგურა, ახლა პრესტიჟის აღდგენაზე და ერთი-ორი გაცურვის მოგებაზე თუ იფიქრებს.

ორშაბათი დასვენების დღეა, ცურვა სამშაბათიდან განახლდება და ახალზელანდიელებს თუ ასევე „გაუმართლებს“, შეუძლიათ, ლუი ვუტონის თასის დაუფლების შემდეგ უკვე ამერიკის თასის მპყრობელ, შვეიცარიელ „ალინგისთან“ გაჯირვების სტრატეგია-ტაქტიკაც დაამუშავონ.

**კოტე ყორშია**

## ამბასადორში პიგოცის ელიან

**15-17 ივნისს** თბილისს მსოფლიოს სპორტული მედიცინის ასოციაციის გენერალური მდივანი, იტალიელი ფაბიო პიგოცი ესტუმრება და სამდღიან კონფერენციას მოაწყობს. სასტუმრო „ამბასადორის“ საპრესკონფერენციო დარბაზსა და სამედიცინო ფარმაცევტულ ფირმა „ჯი-პი-სის“ ოფისში დაგეგმილ ლექციებს ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი და უკრაინელი სპორტული მედიკოსები მოუსმენენ. კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოში ფიფას და უეფას სამედიცინო კომისიის წევრებიც ჩამოვლენ.

**ოთარ მხეიძე**



ახალზელანდიელებმა (მარჯვნივ) იტალიელებს მესამე გაცურვაც მოუგეს

AFP ფოტოქრონიკა

ძიუდო

# რიოს პლაჟები შავი ზღვიდან იწყება

**დღეს ქართველი ძიუდოისტები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ შავი ზღვის სანაპიროს ციკლს გახსნიან. შოთა ხაბარელი ნაკრების წევრ-კანდიდატებთან ერთად ჩაქვში გაემგზავრა და გუნდს ორკვირიან შეკრებას მოუწყობს. სექტემბერში რიო დე ჟანეიროში ჩასატარებელ სეზონის უმთავრეს ტურნირამდე კი გეგმაში კიდევ რამდენიმე შეკრება და ერთი საერთაშორისო ტურნირიცაა. ბრაზილიურ სამზადისზე გუშინ თავად შოთა ხაბარელმა მოგვითხრო**



— დატვირთული საგაზაფხულო სეზონის შემდეგ ბიჭებმა მხოლოდ ერთი კვირით დაისვენეს და უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობენ. თუმცა მსოფლიოს ჩემპიონატამდე ჯერ სამ თვეზე მეტია და აუცილებლად გეგმაზომიერად უნდა მივყვეთ. ეს ორკვირიანი შეკრება აღდგენითი ხასიათის იქნება. გუნდი დაისვენებს კიდეც და თან შედარებით მსუბუქად ივარჯიშებს. თბილისში დაბრუნებულები ათიოდ დღეში ბელარუსში გავემგზავრებით. 1-7 ივლისს მინსკში ერთობლივ შეკრებაში ჩავერთვებით, რომელშიც სავარაუდოდ ორმოცდაათამდე ქვეყნის ნაკრები მიიღებს მონაწილეობას. ამის გარდა კიდევ სამი შეკრება გვექნება. მინსკის შემდეგ ბაკურიანში ფიზმომზადებაზე გადავიტანთ მთავარ ყურადღებას. მერე ბორჯომში უკვე სრულყოფილ ვარჯიშებს ჩავატარებთ. დასკვნით შეკრებას კი ჩემპიონატის მასპინძელ ქალაქში გავივლით. რიო დე ჟანეიროში ტურნირის დაწყებამდე ორი კვირით ადრე ჩავალთ.

შემოდგომამდე ერთ ტურნირშიც გამოვცდი ბიჭებს. 11-12 აგვისტოს გერმანიაში საშემოდგომო ნაკრების ყველა რეალურ კანდიდატს ვაჭიდავებთ და ამ შეჯიბრის შედეგებით, ალბათ საბოლოო შემადგენლობის დასახელებასაც შევძლებთ. ამ ეტაპზე შედარებით ბუნდოვანი სიტუაცია 81 კილოგრამსა და აბსოლუტურ წონაშია. დანარჩენ ექვს წონით კატეგორიაში კი ლიდერები უკვე გამოკვეთილები არიან. ნესტორ ხერგიანი (60კგ), ზაზა კედელაშვილი (66კგ), დავით ქევხიშვილი (73კგ), ირაკლი ცირეკიძე (90კგ), ლევან ჟორჟოლიანი (100კგ) და ლაშა გუჯეჯიანი (+100კგ). კონკურენტებზე წინ დგანან და ბრაზილიაში ჭიდაობის შანსიც გაცილებით მეტი აქვთ, თუმცა ასპროცენტიანი გარანტია არც ერთს არ აქვს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს აუცილებლად იჭიდავებს. ამისთვის შიდა კონკურენციაში ბოლო მომენტამდე უნდა შეინარჩუნონ უპირატესობა. 81 კილოგრამში მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურისთვის გიორგი ბანდურაშვილი და საბა გაგაშელიშვილი იბრძვიან. აბსოლუტურში კი ზვიად ხანჯალიაშვილი და ადამ ოქრუაშვილი.

**ოთარ გაღლაძელიძე**

# ზვიადაურის წინილები
## ოლიმპიური ჩემპიონი ქულებს შემოდგომაზე დაითვლის

**ძიუდოისტთა** ნაკრებს ჩაქვში არ გაჰყოლია ზურაბ ზვიადაური. ოლიმპიური ჩემპიონი სექტემბერში რიო დე ჟანეიროში ჩასატარებელ მსოფლიოს ჩემპიონატს რომ გამოტოვებს, უკვე ძველი ამბავია. 2004 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენს და მსოფლიოს საუკეთესო ძიუდოისტს ხერხემლის ტრავმა აწუხებს და სულ ცოტა, ოთხი თვე ტატამზე გასვლას ვერ შეძლებს.



„ზვიადაურის ამჟამინდელი მდგომარეობა ქართველ ოლიმპიელებში ყველაზე მძიმეა — გვითხრა გუშინ ოლიმპიური გუნდის მთავარმა ექიმმა, სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტმა *ზურაბ კახაბრიშვილმა* — მას დისკოგენური რადიკულიტი და თიაქარი აწუხებს და ინტენსიურ სარეაბილიტაციო კურსს ვუტარებთ. უფრო მარტივი ენით რომ ვთქვათ, ხერხემლის მალები დამჯდარი აქვს, ნერვი კი დისკებს შორის იყო მოყოლილი. ეს სერიოზული ტრავმაა და იგი ზურას შარშანდელი ევროპის გუნდური ჩემპიონატის შემდეგ აწუხებს. გაზაფხულზე სალიცენზიო ტურნირებზე გამაყუჩებელი ნემსების დახმარებით იჭიდავა, მაგრამ აშკარად გამოჩნდა, რომ ტრავმა ჩვეულად გამოსვლაში ხელს უშლიდა. მკურნალობა სპეციალური კურსით მიდის და სავარაუდოდ, ზაფხულის ბოლომდე გაგრძელდება. შემოდგომიდან კი უკვე ტატამზე დაბრუნებასაც შეძლებს“.

90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ამჟამად საქართველოს ნაკრების ლიდერი ირაკლი ცირეკიძეა. ევროპის ვიცე-ჩემპიონი სალიცენზიო რეიტინგსიაშიც ზვიადაურზე წინაა, თუმცა ოლიმპიური ჩემპიონი ჩამორჩენის აღმოფხვრას საშემოდგომო მსოფლიოს თასებსა და სუპერთასებზე ეცდება. წლის ბოლომდე ასეთი სამი ტურნირი ჩატარდება — ბაქოში, როტერდამსა და ბირმინგემში.

**ოთარ გაღლაძელიძე**

კრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უმცროსი, უფროსი...
## კლიჩკო იყოს და რაჰმანისთვის სულ ერთია

ამერიკულ პრესაში სულ უფრო ხშირად ჩნდება ინფორმაცია, თითქოს IBF-ის ვერსიით ჩემპიონი მძიმე წონის ვლადიმირ კლიჩკო ჰასიმ რაჰმანთან აპირებდეს ჩხუბს. თუ შედგა, ეს ბრძოლა მართლაც დიდ ინტერესს გამოიწვევს. მაგრამ სანამ ამ ჯახს გამართავდნენ, მოკრივეებს სხვა საქმეები აქვთ — უკრაინელი 7 ივლისს ლეიმონ ბრიუსტერს, ამერიკელი კი 14 ივლისს ტაირუს საიკსს უნდა გაუსწორდეს.

მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლებათ მხარეებს ბრძოლაზე მოლაპარაკებების დაწყება. თუმც ბევრი ეჭვქვეშ აყენებს ამ ჯახის გამართვის შესაძლებლობას, რადგანაც ვლადიმირის მხრიდან რაჰმანთან ჩხუბზე დათანამხება წმინდა წყლის ქველმოქმედება იქნება — დღეისთვის ეს ამერიკელი IBF-ის რეიტინგში მხოლოდ მე-7 ადგილზეა და წესით, ამ ეტაპზე ქამრისთვის ჩხუბი არ შეუძლია.

სპეციალისტთა ნაწილი სწორედ ამიტომაც აცხადებს, რომ რაჰმანის მომავალი მეტოქე ვლადიმირი კი არა, მისი უფროსი ძმა ვიტალი იქნება. ისე, ამათმა ჯახმა ეგებ მეტი ინტერესიც გამოიწვიოს მაყურებელში და თავად მოკრივეებსაც ბევრი აქვთ დასამტკიცებელი — ვიტალის საშუალება მიეცემა აჩვენოს, რომ რაჰმანის სულაც არ ეშინია. არადა, უკრაინელს ბევრმა სწორედ ეს წამოაყვედრა, როცა მან რინგიდან წასვლა გადაწყვიტა და ნებაყოფლობით დათმო WBC-ს ქამარი. უფროს კლიჩკოსთან დაჯახება უნდა რაჰმანსაც, რომელიც უკრაინელის დამარცხების შემთხვევაში ძველ პრესტიჟს აღიდგენს და რომელიმე ქამრის სავალდებულო პრეტენდენტიც გახდება.

# პაკიაომ ვალერიო ირჩია

**პროფესიული** კრივის ერთ-ერთმა კაშკაშა ვარსკვლავმა, ფილიპინელმა მენი პაკიაომ ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ მეტოქე ამოირჩია — ეს მსუბუქ წონაში WBA-ს ვერსიით ჩემპიონი, ვენესუელელი ედვინ ვალერო იქნება. ეს ინფორმაცია პაკიაოს მწვრთნელმა ფრედი როუჩმა გაავრცელა და იქვე დაამატა, რომ ბრძოლის ჩატარების სავარაუდო ადგილად მაკაო სახელდება.

როუჩმა ასევე განაცხადა, რომ პაკიაოს ინტერესებში შედის მარკო ანტონიო ბარერასთან მატჩრევანშის გამართვა. ეს ბიჭი ფილიპინელმა 2003 წელს გალახა და მის წინააღმდეგ რინგზე გასვლა კიდევ სდომებია. მაგრამ ამ ჯახის გამართვას მოკრივეთა პრომოუტერების დაძაბული ურთიერთობა აფერხებს. პაკიაოს პრომოუტერ ბობ არუმს პირდაპირ დასანახად ვერ იტანს ბარერას ინტერესების დამცველი ოსკარ დე ლა ჰოია. ჰოდა, რა მოხდება, არავინ იცის.

**კახა ლომაშვილი**

წყალბურთი

# სახელაშვილის სახელობისა

**ამ უქმეებზე** „ლაგუნა ვერეში“ ზურაბ სახელაშვილისადმი მიძღვნილ ტურნირს უმასპინძლა, რომელშიც ექვსი გუნდი მონაწილეობდა.

ტურნირი ამიერიდან „ზუკას“ სახელწოდებით ყოველ წელს ჩატარდება. ზურაბ სახელაშვილი ტრაგიკულად დაღუპული წყალბურთელია. ტურნირის ორგანიზება ახალგაზრდა სპორტსმენებმა ითავეს, რომლებიც საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში გამოდიან.

ორი გუნდი ნაკრების ბიჭებმა შეადგინეს, პირობითი სახელწოდებით „ნაკრები 1“ და „ნაკრები 2“. დანარჩენი ოთხი გუნდი ვეტერანებმა დააკომპლექტეს: „მართვე“, „ნეპტუნი“, „დინამო“ და „ვეტერანები“.

შეჯიბრის პირველი ეტაპი წრიული იყო, რის შემდეგაც ორი საუკეთესო გამოვლინდა. ფინალში ნაკრების წყალბურთელები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. გამარჯვებული ის გუნდი ხდებოდა, რომელიც ორ პერიოდს მოიგებდა. თავიდან მეტოქეებმა მოგებები გაცვალეს — 1:1. ბოლო, გადამწყვეტ პერიოდში კი კინკილა ქულის სხვაობით 6:5 „ნაკრები 1-მა“ მოიგო და თასიც დაისაკუთრა. ტურნირის ბომბარდირი გურამ კოტარია გახდა. საუკეთესო მეკარე ზურაბ ჭუმბურიძე.

რაც შეეხება ახალგაზრდულ ნაკრებს, ისინი მომზადებას ტექნიკური უნივერსიტეტის აუზზე გააგრძელებენ და 13 ივნისს უკრაინაში გაემგზავრებიან, სადაც იქაური ლიგა პირველობის ბოლო ტური ელით. ქართველებს უკრაინაში ვერცხლის მედლების მოპოვების კარგი შანსი აქვთ.

**ლევსო მაისურაძე**

# როლან გაროსი 2007

პარიზი. 27 მაისი – 10 ივნისი. საპრიზო 13 422 080 €

## რაფამ ლეიტონს ტონი დაუწუნა



რაფაელ ნადალი

„როლან გაროსის" წინ ჰამბურგის მასტერსის ნახევარფინალში რაფაელ ნადალთან წაგების შემდეგ ლეიტონ ჰიუიტი ამბობდა, მალიორკელი თავიდან მძიმედ იწყებს და ამ დროს კარგ სტარტს თუ აიღებ, გამარჯვების დიდი შანსი არსებობსო. ავსტრალიელმა ამ მატჩის წინაც იგივე თქვა და, როგორც ჩანს, ნადალისა და მისი შტაბის ყურადღებაც მიიქცია. ანაც, შეიძლება თავად ლეიტონი ნამეტანი ენდო საკუთარ დაკვირვებას და იფიქრა, თავიდან იოლად გავალ ფონსო. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ესპანელმა ჯადობიჭმა სასწაულად დაიწყო და თავიდანვე ისეთი ტემპი შესთავაზა ოზს, რომ ლეიტონი შეცდომების დაშვების მეტს არაფერს აკეთებდა.

მალიორკელს პრობლემაც კი არ ჰქონია საწყის ორ სეტში — რაფა პირველივე გეიმში დაწინაურდა და ჰიუიტს ერთხელაც არ გაათანაბრებინა. ლეიტონი საერთოდ ვერ უტევდა, ხოლო უკანა ხაზზე კონცენტრირებულ თამაშში ესპანელთან თანამედროვე ჩოგბურთის ნებისმიერი წარმომადგენელი თითქმის განწირულია. ნადალმა განსაკუთრებით თავისი ფორჰენდით იხეირა, რომელიც ოზმა ვერაფრით გამოთიშა თამაშიდან.

ჰიუიტმა მხოლოდ მესამე სეტში მოახერხა თამაშის გათანაბრება და საქმე ტაიბრეიკამდე მიიყვანა, რომლის მოგებაც თავისუფლად შეეძლო, მაგრამ რამდენიმე იოლი გათამაშება გააფუჭა. ასეთ რამეებს კი ნადალი არავის პატიობს და არც ახლა იყო მიტევების ხასიათზე — ზედიზედ ორი ქულა მშვენიერ შემტევ სტილში მოიპოვა და მეოთხედფინალის საგზურიც მატჩის დაწყებიდან ორსაათნახევრის თავზე გაინაღდა.

ესპანელის მორიგი მეტოქე საუკეთესო რვაში მოხვედრილი ერთადერთი განუთესავი მეჩოგნე იგორ ანდრეევი იქნება. რუსმა ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა, როცა მარკოს ბაღდატისი დასცა. ისე, ეს მატჩი გუშინ ყველაზე დაძაბული გამოდგა, რადგანაც ბრძოლის მაგვარი მხოლოდ აქ ვნახეთ — დანარჩენ შეხვედრებში ყველამ სამ სეტში მოითავა საქმეები. მეორეს მხრივ, ეს დიდწილად ხასიათების თამაში იყო და ნამდვილი ბრძოლა ერთ სეტშიც არ ყოფილა. პირველ პარტიაში ცუდად დაწყების შემდეგ კვიპროსელი ზედიზედ ექვსი გეიმის მოგებით დაწინაურდა. მერე კი სლავი მოვიდა თამაშის იმტაზე და მომდევნო სამი პარტია ისე ჩაიხრიგინა, თითქოს კორტის მეორე ნახევარზე ბაღდატისი არც მდგარიყო. თუმც რუსის გმირობები აქ უნდა მორჩეს, რადგანაც საეჭვოა, ნადალთან რამეს გახდეს. კი, ბატონო, მოუგო ამ რუსმა რაფას ორი წლის წინ ვალენსიაში და ესპანელის ამ მარცხს მომდევნო ორი წელი იხსენებდნენ, რადგანაც ჰამბურგის ფინალამდე თიხნარზე აღარ წაეგო. მაგრამ მალიორკელმა წელს ორჯერ დასცა ანდრეევი და დაამტკიცა, რომ მისი სულაც არ ეშინია, რაც საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ნადალი ახლაც იოლად გაუმკლავდება მეტოქეს.

გუშინ კიდევ ერთი მეოთხედფინალური წყვილი დაკომპლექტდა — ახალგაზრდა ნოვაკ ჯოკოვიჩი გამოცდილ ვეტერან კარლოს მოიას დაეტაკება.

სერბს საამისოდ ფერნანდო ვერდასკოს დამარცხება მოუწია, რასაც 20 წლის ბალკანელმა სამი სეტი და 2 საათზე ნაკლები მოანდომა. მესამე წრეში მასპინძელ ოლივიე პატიენსთან ხუთსეტიანი ტრილერის შემდეგ ჯოკოვიჩმა აღარ ისურვა საქმის ისევ სათუოდ გახდომა და თავიდანვე მძლავრად დაიწყო. თანაც სერბმა მალე მოუძებნა მეტოქეს სუსტი წერტილი — აღმოჩნდა, რომ ცაცია ვერდასკო მარჯვნიდან, ანუ ბექჰენდზე სრულიად უნიჭოდ თამაშობდა. ჰოდა, ჯოკოვიჩმაც აღარ დაიწყო ველოსიპედის გამოგონება და პირველივე ხელსაყრელ მომენტში ესპანელს ბექჰენდზე უგდებდა ბურთს. პირინეელმა მხოლოდ მესამე სეტში გაიფაფხურა და ეგ იყო — ჯოკოვიჩი მეოთხედფინალშია.

„ტურნირზე პირველი კვირა საკმაოდ სუსტად ჩავატარე, თუმც ახლა მოვუმატებ. მიხარია, შარშანდელივით მეოთხედფინალში რომ ვარ და თან აქ არც ნადალთან მიწევს დატაკება და არც ფედერერთან. თუმც ვფიქრობ, წლეულს ორივეს წინააღმდეგ შემწევს ტოლ-სწორად თამაში — დაუმარცხებელი არავინაა და ამას საქმითანც დავამტკიცებ" — ყოყლოჩინობდა პრესკონფერენციაზე ჯოკოვიჩი, რომელმაც თავი ფედერერ-ნადალის ერთადერთ სერიოზულ მეტოქედ გამოაცხადა.

ნადალამდე ჯოკოვიჩს მოიასთან გასწორება მოუწევს, რომელიც ყველაზე ხნიერი მეოთხედფინალისტია. თუმც გუშინ მოია თავისზე უფროს მეჩოგნეს დაუპირისპირდა, იონას ბიორკმანს, რომელმაც წლევანდელი გამოსვლით კიდევ ერთხელ აიძულა ჩოგბურთის მოყვარულნი მის წინაშე ქუდი მოეხადათ. 35 წლის შვედმა წინა რაუნდებში ორჯერ ამოქაჩა ორსეტიანი ჩამორჩენა და მეოთხე წრეში ასე ომებგადატანილი მოვიდა, მაგრამ მეტს ველარ გასწვდა და მხოლოდ იმდენი მოახერხა, რომ მოიას ღირსეულად ებრძოლა. ეგ იყო და ეგ — „როლან გაროსის" 1998 წლის ჩემპიონმა სამ სეტში იმარჯვა და ახლა შეეცდება, ჯოკოვიჩს დაუმტკიცოს, რომ გამოცდილებას თავისი უპირატესობები აქვს.

4 ივნისი

**კაცები**

**მეოთხე წრე**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი** (6, სერბეთი) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 6:3 6:3 7:6; **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) — მარკოს ბაღდატისი (16, კვიპროსი) 2:6 6:1 6:3 6:4; **კარლოს მოია** (23, ესპანეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 7:6 6:2 7:5; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (14, ავსტრალია) 6:3 6:1 7:6

## საფრანგეთის ღია ოქსანასთვის დაიხურა

**ოქსანა კალაშნიკოვამ** პირველი სეტი 6:3 კი მოუგო მე-4 ნომრად განთესილ რუმინელ სორანა კირსტეას, მაგრამ შემდეგ მოპოვებული უპირატესობა ვეღარ განავრცო და სამ სეტში — 6:3 2:6 2:6 დამარცხდა.

ეს ყველაფერი პარიზში, „როლან გაროსის" ლეგენდარული საჩოგბურთო სტადიონის მე-4 კორტზე მოხდა. 16 წლის ჩვენებური სეზონის მეორე სლემტურნირის, საფრანგეთის ღია პირველობის გოგონათა შეჯიბრში იღებდა მონაწილეობას და პირველ წრეში რუს ელენა ჩერნიაკოვასთან გამარჯვების შემდეგ, თითქოს მეორე წარმატებასთანაც ახლოს იყო, მაგრამ...

კალაშნიკოვა საკუთარი შანსების გამოუყენებლობის გამო დაისაჯა. თავად განსაჯეთ: რუმინელს შვიდი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა და აქედან ექვსი აქცია ბრეიკად, ხოლო ჩვენებურმა ცხრა ბრეიკ-პოინტიდან მხოლოდ ოთხი გამოიყენა. შედეგიც სახეზეა.

## სალომე და დიანა

**რუმინეთის** ქალაქ პიშტეშტის თიხნარზე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ქალთა 10-ათასიანი შეჯიბრი ტარდება და მასში ჩვენებური სალომე ჩაჩხუნაშვილიც იღებს მონაწილეობას.

18 წლის სალომე, ვისაც ორი წლის წინ WTA-ს რეიტინგში 1107-ე პოზიცია ეჭირა, საკვალიფიკაციო ეტაპიდან ცდილობს ტურნირის ძირითად ბადეში მოხვედრას.

კვალიფიკაციის პირველ წრეში ჩაჩხუნაშვილი თავისუფალი იყო, ხოლო მეორეში მან 6:0 6:1 გადაუარა 19 წლის კანადელ როქსანა ალექსანდრუს. მესამე და გადამწყვეტ წრეში ქართველი ტურნირზე ორგანიზატორების მიერ „უაილდ ქარდით" მიწვეულ 17 წლის რუმინელ დიანა-მადალინა ზაინეას შეხვდება და, თუ მასაც მოუგებს, ძირითად ტურნირში თამაშის უფლებას მოიპოვებს.



## შარაპოვას უსტვინეს

**კვირას** პატი შნიდერთან ეპიკური თამაშის მოგების შემდეგ მარია შარაპოვა ტრიბუნებმა სტვენით გააცილეს. მატჩის მიწურულს, ერთ-ერთ მომენტში, რუსის მოწოდებისას ანგარიში 30:30 იყო, შნიდერმა ხელი აწია იმის ნიშნად, რომ შარაპოვას ცოტა ხნით არ ჩაეწოდებინა. თუმც მაშამ მაინც მოაწოდა და ჩააგდო, რამაც ტრიბუნების პროტესტი გამოიწვია და რუსიც ფეირ პლეის წესების დარღვევაში დაადანაშაულეს.

ნამატჩევს მაშას გულშემატკივრების საქციელზე არაფერი უთქვამს, თუმც ამ მომენტზე შემდეგი განაცხადა:

„არ დამინახავს ეს აწეული ხელი. საერთოდ, რა წესია ხელის აწევა, როცა ბურთი უკვე აგდებულია? მე კი საერთოდ მაშინ დავინახე, როცა უკვე დარტყმული მქონდა. ამიტომაც არავისთან არაფერი მაქვს საბოდიშო, რადგანაც გამიზნულად არაფერი გამიკეთებია".

**ბაჩა ლომაშვილი**

## ვილანდერი კანასის წინააღმდეგ

**„როლან გაროსის"** სამგზის გამარჯვებული, ლეგენდარული შვედი მატს ვილანდერი უკმაყოფილოა იმით, რომ სადოპინგო სკანდალის შემდეგ გილერმო კანასს ცხოვრება ერთობ იოლად აეწყო.

მოგეხსენებათ, კანასი 2005 წელს მოკვეთეს ჩოგბურთიდან, როცა სწორედ პარიზში თამაშის დროს აღებულ სისხლში აღმოუჩინეს აკრძალული პრეპარატები. არგენტინელი კორტზე გასული წლის მიწურულს დაბრუნდა და ნახევარ წელიწადში ძველი პოზიციაც დაიბრუნა. ეს კი იმიტომ, რომ დისკვალიფიკაციის მიუხედავად, კანასს სარეიტინგო ქულები არ ჩამოაკლეს. ბოლო თვეებში კი სპონსორების დახმარებით არგენტინელს სხვადასხვა ტურნირების ორგანიზატორები ხშირად აძლევდნენ უაილდ ქარდს, რის გამოც გილერმო რეიტინგში ძველ პოზიციაზე დაბრუნდა და ამ ექვს თვეში 143-ედან 22-ე ადგილამდე აღზევდა. ახლა კი კანასი „როლან გაროსის" მეოთხედფინალშია, სადაც ნიკოლაი დავიდენკოს შეხვდება.

„გილერმო უდავოდ დიდი ჩოგბურთელია. მას არავისი არ ეშინია, რაც წლეულს დაამტკიცა, როცა ორჯერ მოუგო ფედერერს. მაგრამ მაინც არ არის სამართლიანი ის, რომ ასე მცირე დროში ამდენით დაწინაურდა რეიტინგში. ვიცი, ბევრ ჩოგბურთელს არ სიამოვნებს, როცა დოპინგ-სკანდალებში გარეულ კოლეგებს უაილდ ქარდს აძლევენ და არ შეიძლება, მათ პოზიციას არ დაეთანხმო — თუ არ თაკილობ აკრძალული პრეპარატით სარგებლობას, მაშინ კეთილი ინებე და ყველაფერი ნულიდან დაიწყე" — თქვა ვილანდერმა.

**ბაჩა ლომაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დი(დი) ლუკა

## იტალიურ წრეში იტალიელები ტრიალებენ




**კვირას** მილანში საიუბილეო, 90-ე „ჯირო დიტალია“ „ლიქუიგასის“ იტალიელი მრბოლის დანილო დი ლუკას ტრიუმფით დასრულდა. „კილერად“ წოდებულმა 31 წლის ველოსიპედისტმა ეს გამარჯვება ნამდვილად დაიმსახურა.

დი ლუკას ორი წლის წინაც მშვენიერი სეზონი ჰქონდა — პროტურის საერთო ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა და ბოლო, სამთო ეტაპებამდე „ჯიროს“ მოგებაზეც აცხადებდა პრეტენზიას, მაგრამ ძალა აღარ ეყო. წლეულს კი დანილოს ნამდვილად კარიერის პიკი აქვს — სეზონში უკვე ექვსი გამარჯვების მოპოვება მოასწრო, მათ შორის უძველესი ერთდღიანი იტალიური რბოლის, მილანი-ტურინის და ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟის ბელგიური კლასიკის.

უშუალოდ „ჯიროზე“ „კილერმა“ ორი ურთულესი სამთო ეტაპი მოიგო — მონტევერჯინი დი მერკოლიანოსა და ბრიანსონის. რამდენიმე დღის მანძილზე მანამდეც ლიდერობდა, მაგრამ ბრიანსონზე გამარჯვების შემდეგ ლიდერის ვარდისფერი მაისურა რომ ჩაიცვა, ბოლომდე აღარ გაიხადა და ერთი შეხედვით უმტკივნეულოდ გაუძლო ძველი ჩემპიონების — ჯილბერტო სიმონის, დამიანო კუნეგოს, სტეფანო გარძელისა და პაოლო სავოლდელის იერიშებს.

ექს-ჩემპიონთა ამ ოთხეულზე უფრო სახიფათო კი ახალგაზრდა ლუქსემბურგელი ენდი შლეკი აღმოჩნდა, რომელმაც შესაშური სტაბილურობა და უნივერსალიზმი გამოავლინა და ბოლომდე არ მოასვენა ლიდერი, მაგრამ დი ლუკამ მისი შეტევებიც მოიგერია და ლუქსემბურგელს „ჯიროზე“ იტალიელთა ჰეგემონიის დარღვევის უფლება არ მისცა.

დიახ, 1999 წლიდან, ანუ ზედიზედ, უკვე 9 წელია, „ჯიროს“ მხოლოდ მასპინძლები იგებენ და დი ლუკამ ზემოთ ნახსენები ოთხეულისა და ივან გოტის, მარკო პანტანისა და ივან ბასოს ტრადიციები გააგრძელა.

წლევანდელი „ჯიროს“ მეორე გმირი ალესანდრო პეტაკი იყო. შარშანდელი, უაღრესად წარუმატებელი სეზონის შემდეგ პეტაკიმ წლის პირველ სუპერრბოლაში ერთბაშად ხუთი ეტაპი მოიგო და ყველას დაუმტკიცა, რომ კვლავაც უძლიერესი სპრინტერი და ფინიშიორია. ეგეც არ იყოს, ალესანდრომ თავიდან ბოლომდე გაძლო, ყველა მთა გადაიარა და ბოლო, მილანური ეტაპიც მოიგო.

არც ნახსენები, ძველი ჩემპიონების დავიწყება იქნება — კუნეგოს გარდა მინიმუმ თითო ეტაპი ყველა მათგანმა მოიგო — გარძელიმ, სულაც ორჯერ იმარჯვა, სიმონიმ ძონკოლანის კედლივით მთაზე იპირველა, ხოლო სავოლდელის ინდივიდუალურ რბოლაში არ ჰყავდა ბადალი, როდესაც თანაგუნდელ ედი მაცოლენის აჯობა. საბოლოო ჯამში, გენერალური კლასიფიკაციის მესამე ადგილი დი ლუკასა და შლეკის შემდეგ, სწორედ მაცონელიმ დაიკავა და სიმონი მეოთხე ადგილზე დააქვეითა. არადა, 1999 წლიდან მოყოლებული, 2002 წელს თუ არ ჩავთვლით, სიმონი მუდამ პრიზიორთა შორის იყო — ორჯერ ჩემპიონი გახდა, ერთხელ მეორე ადგილზე გავიდა და სამჯერ მეოთხეზე.

არადა, „სონი დიუვალის“ სახით სიმონის უაღრესად მძლავრი გუნდი ჰყავდა — ამ ესპანურ-იტალიური გუნდის წევრებმა, თავად სიმონიმ, რიკარდო რიკომ, ლეონარდო პიეპოლიმ და იბან მაიომ ბრწყინვალედ იარეს მთებში და რამდენიმე დასამახსოვრებელი გამარჯვება მოიპოვეს.

„ჯირო“ დასრულდა და ჰორიზონტზე, უკვე სეზონის უმთავრესი და უდიდესი რბოლა „ტურ დე ფრანსი“ გამოჩნდა. რამდენიმე კვირაც და ველოსპორტის ქომაგთა ყურადღება საფრანგეთისკენ გადაერთვება. მომავალი, რიგით 91-ე „ჯირო დიტალია“ კი, უკვე ცნობილია და, კუნძულ სიცილიაზე, კერძოდ კი პალერმოში დაიწყება მომავალი წლის 10 მაისს.

### დანილო დი ლუკა

დაიბადა 1976 წლის 2 იანვარს. პროფესიონალია 1998 წლიდან. იცავდა იტალიური ველოგუნდების — „რისო სკოტის“, „კანტინა ტოლოს“, „საეკოს“ ღირსებას. 2005 წლიდან „ლიქუიგასის“ წევრია.

კარიერაში მოპოვებული აქვს 44 გამარჯვება. აქედან ექვსი „ჯირო დიტალიას“ ეტაპებზე (ერთი 2000 წელს, ერთი 2001 წელს, ორი 2005 წელს და ორიც 2007 წელს). „ჯირო დიტალიას“ 2007 წლის ჩემპიონი. „პრო-ტურის“ სერიის 2005 წლის გამარჯვებული. მოგებული აქვს მრავალდღიანი რბოლები: „ჯირო დაბრუზო“ (2001), ჯირო დელა ლიგურია“ (2003), „ბრიქსია ტური“ (2004), „ვუელტა პაესი ბახი“ (2005); ერთდღიანი კლასიკური რბოლები: „ჯირო დი ლომბარდია“ (2001), „ფლეშ ვალონი (2005), „ამსტელ გოლდი“ (2005), „ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟი“ (2007).

### ჯიროს ყველა ჩემპიონი

| | |
|---|---|
| 1909 | ლუიჯი განა (იტალია) |
| 1910 | კარლო გალეტი (იტალია) |
| 1911 | კარლო გალეტი (იტალია) |
| 1912 | „ატალა“ (იტალია) |
| 1913 | კარლო ორიანი (იტალია) |
| 1914 | ალფონსო კალცოლარი (იტალია) |
| 1919 | კონსტანტ ჯირარდენგო (იტალია) |
| 1920 | გაეტანო ბელონი (იტალია) |
| 1921 | ჯოვანი ბრუნერო (იტალია) |
| 1922 | ჯოვანი ბრუნერო (იტალია) |
| 1923 | კონსტანტ ჯირარდენგო (იტალია) |
| 1924 | ჯუზეპე ენრიკი (იტალია) |
| 1925 | ალფრედო ბინდა (იტალია) |
| 1926 | ჯოვანი ბრუნერო (იტალია) |
| 1927 | ალფრედო ბინდა (იტალია) |
| 1928 | ალფრედო ბინდა (იტალია) |
| 1929 | ალფრედო ბინდა (იტალია) |
| 1930 | ლუიჯი მარკიზიო (იტალია) |
| 1931 | ფრანჩესკო კამუზო (იტალია) |
| 1932 | ანტონიო პესენტი (იტალია) |
| 1933 | ალფრედო ბინდა (იტალია) |
| 1934 | ლეარკო გუერა (იტალია) |
| 1935 | ვასკო ბერგამაში (იტალია) |
| 1936 | ჯინო ბარტალი (იტალია) |
| 1937 | ჯინო ბარტალი (იტალია) |
| 1938 | ჯოვანი ვალეტი (იტალია) |
| 1939 | ჯოვანი ვალეტი (იტალია) |
| 1940 | ფაუსტო კოპი (იტალია) |
| 1946 | ჯინო ბარტალი (იტალია) |
| 1947 | ფაუსტო კოპი (იტალია) |
| 1948 | ფიორენცო მანი (იტალია) |
| 1949 | ფაუსტო კოპი (იტალია) |
| 1950 | ჰუგო კობლეტი (შვეიცარია) |
| 1951 | ფიორენცო მანი (იტალია) |
| 1952 | ფაუსტო კოპი (იტალია) |
| 1953 | ფაუსტო კოპი (იტალია) |
| 1954 | კარლო კლერიჩი (შვეიცარია) |
| 1955 | ფიორენცო მანი (იტალია) |
| 1956 | შარლ გაული (ლუქსემბურგი) |
| 1957 | გასტონ ნენჩინი (იტალია) |
| 1958 | ერკოლე ბალდინი (იტალია) |
| 1959 | შარლ გაული (ლუქსემბურგი) |
| 1960 | ჟაკ ანკეტილი (საფრანგეთი) |
| 1961 | არნალდო პამბიანკო (იტალია) |
| 1962 | ფრანკო ბალმამიონი (იტალია) |
| 1963 | ფრანკო ბალმამიონი (იტალია) |
| 1964 | ჟაკ ანკეტილი (საფრანგეთი) |
| 1965 | ვიტორიო ადორნი (იტალია) |
| 1966 | ჯანი მოტა (იტალია) |
| 1967 | ფელიჩე ჯიმონდი (იტალია) |
| 1968 | ედი მერქსი (ბელგია) |
| 1969 | ფელიჩე ჯიმონდი (იტალია) |
| 1970 | ედი მერქსი (ბელგია) |
| 1971 | გოსტა პეტერსონი (შვედეთი) |
| 1972 | ედი მერქსი (ბელგია) |
| 1973 | ედი მერქსი (ბელგია) |
| 1974 | ედი მერქსი (ბელგია) |
| 1975 | ფაუსტო ბერტოლიო (იტალია) |
| 1976 | ფელიჩე ჯიმონდი (იტალია) |
| 1977 | მიშელ პოლენტიე (ბელგია) |
| 1978 | იოჰან დე მუინკი (ბელგია) |
| 1979 | ჯუზეპე სარონი (იტალია) |
| 1980 | ბერნარ ინო (საფრანგეთი) |
| 1981 | ჯოვანი ბატალინი (იტალია) |
| 1982 | ბერნარ ინო (საფრანგეთი) |
| 1983 | ჯუზეპე სარონი (იტალია) |
| 1984 | ფრანჩესკო მოზერი (იტალია) |
| 1985 | ბერნარ ინო (საფრანგეთი) |
| 1986 | რობერტო ვისენტინი (იტალია) |
| 1987 | სტივ როში (ირლანდია) |
| 1988 | ენდრიუ ჰემპსტენი (აშშ) |
| 1989 | ლორენ ფინიონი (საფრანგეთი) |
| 1990 | ჯანი ბუნიო (იტალია) |
| 1991 | ფრანკო კიოჩოლი (იტალია) |
| 1992 | მიგელ ინდურაინი (ესპანეთი) |
| 1993 | მიგელ ინდურაინი (ესპანეთი) |
| 1994 | ევგენი ბერზინი (რუსეთი) |
| 1995 | ტონი რომინგერი (შვეიცარია) |
| 1996 | პაველ ტონკოვი (რუსეთი) |
| 1997 | ივან გოტი (იტალია) |
| 1998 | მარკო პანტანი (იტალია) |
| 1999 | ივან გოტი (იტალია) |
| 2000 | სტეფანო გარძელი (იტალია) |
| 2001 | ჯილბერტო სიმონი (იტალია) |
| 2002 | პაოლო სავოლდელი (იტალია) |
| 2003 | ჯილბერტო სიმონი (იტალია) |
| 2004 | დამიანო კუნეგო (იტალია) |
| 2005 | პაოლო სავოლდელი (იტალია) |
| 2006 | ივან ბასო (იტალია) |
| 2007 | დანილო დი ლუკა (იტალია) |

**შენიშვნა: 1912 წელს პირადი პირველობა არ გათამაშებულა; 1915-1918 და 1941-1945 წლებში პირველი და მეორე მსოფლიო ომების გამო რბოლა არ ჩატარებულა**

### 90-ე «ჯირო დიტალიას» ყველა ეტაპის გამარჯვებული

1. „ლიქუიგასი“ (იტალია)
2. რობი მაკივენი (ავსტრალია, „ლოტო“)
3. ალესანდრო პეტაკი (იტალია, „მილრამი“)
4. დანილო დი ლუკა (იტალია, „ლიქუიგასი“)
5. რობერტ ფიორსტერი (გერმანია, „გეროლშტაინერი“)
6. ლუის ფელიპე ლავერდე ხიმენესი (კოლუმბია, „პანარია“)
7. ალესანდრო პეტაკი (იტალია, „მილრამი“)
8. კურტ ასლე არვესენი (ნორვეგია, CSC)
9. დანილო ნაპოლიტანო (იტალია, „ლამპრე“)
10. ლეონარდო პიეპოლი (იტალია, „სონი დიუვალი“)
11. ალესანდრო პეტაკი (იტალია, „მილრამი“)
12. დანილო დი ლუკა (იტალია, „ლიქუიგასი“)
13. მარსიო ბრუზეგინი (იტალია, „ლამპრე“)
14. სტეფანო გარძელი (იტალია, „აკვა ე საპონე“)
15. რიკარდო რიკო (იტალია, „სონი დიუვალი“)
16. სტეფანო გარძელი (იტალია, „აკვა ე საპონე“)
17. ჯილბერტო სიმონი (იტალია, „სონი დიუვალი“)
18. ალესანდრო პეტაკი (იტალია, „მილრამი“)
19. იბან მაიო (ესპანეთი, „სონი დიუვალი“)
20. პაოლო სავოლდელი (იტალია, „ასტანა“)
21. ალესანდრო პეტაკი (იტალია, „მილრამი“)



ფრანგებმა და ახალზელანდიელებმა ერთმანეთს მაგრად დასცხეს

# სამხრეთში სტუმრები ვერ ხარობენ
## აფრიკამ ინგლისს ფაღარათი დამართა

გასულ უქმეებზე რაგბის სამხრეთული ტესტების მეორე რაუნდში მასპინძლებმა კვლავ მოიგეს, თუმც ტურნეზე საცდელი გუნდებით წასული ევროპელების მარცხი მოსალოდნელიც იყო. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ჯახი ბუენოს აირესში, საფეხბურთო „ველეს სარსფილდის“ მოედანზე იყო, ხოლო ყველაზე ბარაქიანი რაგბობა ოკლენდში შედგა

ბუენოს აირესი

**არგენტინა 16:0 ირლანდია**

**არგენტინა:** 1ლ: მ. კონტეპომი; 1გ: ტოდესკინი; 3ს: ტოდესკინი

ირლანდიაც და არგენტინაც წლევანდელ მსოფლიოს თასზე ჯგუფში საქართველოს მეტოქეები არიან. ცხადია, ჩვენებს მათთან შანსი არ აქვთ. აი, ერთმანეთში კი მაგარი ომი ექნებათ. ზედიზედ მეორე მსოფლიოს თასია, არგენტინა და ირლანდია ჯგუფში ერთად ხვდებიან და პლეი ოფში გამსვლელ მეორე ადგილს არკვევენ. წინა თასზე ირლანდიამ იძალა, რაც ლოგიკური იყო, წლეულს კი ალბათ პირიქით იქნება.

ერთი კვირის წინ არგენტინამ ტურნეზე მყოფი ირლანდია ბოლო წუთზე გატანილი არეკნით 22:20 დაამარცხა, ახლა კი ჯაჯგურ-ჯაჯგურ და მძიმე შერკინებით ულაპარაკოდ მოუგო. ისიც სათქმელია, რომ ირლანდიას არ ჰყავდა ტრავმირებული კაპიტანი, გუნდის სული და გული ბრაიან ოდრისკოლი, ვისაც კელტების ქვეყანაში „ღმერთს“ უწოდებენ.

ოკლენდი

**ახ. ზელანდია 42:11 საფრანგეთი**

**ახ. ზელანდია:** 5ლ: მეიჯერი (2), სივიჭტუ (2), სოიალო; 4გ: კარტერი (2), ევანსი (2); 3ს: კარტერი, ვეპუ, ევანსი; **საფრანგეთი:** 1ლ: კუ; 2ს: ბოიე;

არგენტინა — ირლანდიის არ იყოს, მსოფლიოს თასის მასპინძელი საფრანგეთიც საქართველოს მეტოქეა. წლევანდელ ექვს ერზე გაჩემპიონების შემდეგ „მამლების“ მწვრთნელმა ბერნარ ლაპორტმა ბლომად ცვლილებები აკეთა და თასის ფავორიტ ახალ ზელანდიას „ბებრებთან“ ნაზავი უცნობი ჯეელების რაზმი შეახვედრა.

ფრანგებმა გულიანად იბრძოლეს, მაგრამ მაინც 31 ქულით წააგეს. „ოლ ბლექსმა“ უკვე პირველ ტაიმში მოუმთავრა საქმე მეტოქეს, როცა 20:3 დაწინაურდა.

ყველაზე სასეირო კი მეორე ტაიმში მოხდა. ფრანგთა კაპიტანი პასკალ პაპე „შავების“ მორკინალების წნეხში მოხვდა და უსულოდ დავარდა მინდორზე. პაპეს სულზე მიუსწრეს და უგონო მდგომარეობაში გააქანეს ჰოსპიტალში. მოგვიანებით გაირკვა, რომ მას მძიმე ფორმებში ტვინის შერყევა აქვს და წუთიც რომ დაეგვიანებინათ, ეგებ კრუნჩხვებისგან გარდაცვლილიყო კიდეც.

პაპეს დასახიჩრებას გუნდური დაკა-დაკა მოჰყვა, ხოლო თამაშით რომ ვერ აჯობეს, ფრანგები ვენდეტაზე გადავიდნენ. „მამლების“ გაუპარსავი მორკინალი სებასტიან შაბალი ისე შეასკდა ზელანდიელ კრის მასოს, რომ უკანალზე მოსვა, ხოლო ბენჟამინ ბოიემ ისაია ტუევა შებოჭა კისერში და ლამის მალა გადაუმტვრია.

ბრისბენი

**ავსტრალია 31:0 უელსი**

**ავსტრალია:** 3ლ: ლოანე, მიჩელი, ჰუქლი; 2გ: მორტლოკი; 4ს: მორტლოკი;

წინა უქმეებზე ავსტრალიამ რის ვაი-ვაგლახით 29:23 მოუგო უფერულ უელსს, ახლა კი 31 ქულით ნულზე აჯობა, ოღონდ იქამდე ვერ გატეხა, სანამ შეცვლაზე უბერებელი ჯორჯ გრეგანი არ შევიდა.

სასტარტო რაზმში ავსტრალიელებს ცხრა ნომრად ამპლუით გარემარბი მეტ ჟიტუ ეყენათ, რომელიც მორკინალთა მოპოვებულ ბურთს ვერ ელეოდა და თავად უტევდა. ბრგე უელსელ მბოჭავებს კი ლუკმად არ ყოფნიდათ ტანხმელი მოიერიშე. გრეგანმა კი თამაში დაალაგა, ყველანაირი გემოვნების პასები არიგა და აწყვეტილმა მასპინძლებმა მეტოქისგან მცველი მცველზე აღარ დატოვეს.

პრეტორია

**ს. აფრიკა 55:22 ინგლისი**

**ს. აფრიკა:** 8ლ: იანუარი, ბურხერი, ბოთა, სპისი (2), ჰაბანა (2), მონტგომერი; 6გ: მონტგომერი (5), შტეინი; 1ს: მონტგომერი;

**ინგლისი:** 1ლ: სკარბორი; 1გ: უილკინსონი; 5ს: უილკინსონი

ინგლისმა მეორე ტესტი ითამაშა სამხრეთაფრიკულ ტურნეზე და მეორედაც განადგურდა. ერთი კვირის წინ სამხრეთ აფრიკამ 58:10 მიწასთან გაასწორა მსოფლიოს ჩემპიონები, ახლა კი „მხოლოდ“ 30 ქულიანი ალიყური „აკმარა“.

სათქმელია, რომ ტრავმების გამკიდე ინგლისელთა მწვრთნელმა ბრაიან ეშტონმა ძლივს შეაკოწიწა გუნდი, მაგრამ პრეტორიაში ჩასულ ალბიონელებს ცუდი საქმე დაემართათ. „ვარდებმა“ აფრიკული წყალი ვერ იგუეს და ფაღარათი აიკიდეს, ამის გამო ნახევარი გუნდი სასტუმროში დარჩა.

ამის მიუხედავად, ინგლისელებმა მაინც იომეს, პირველი ტაიმის ბოლოს წინაც იყვნენ, მაგრამ მერე აფრიკელთა ღონეს და სიმარდეს ვერაფერი დაუპირისპირეს და ხუთი უპასუხო ლელო გაუშვეს.

**ბაჩო სვანიძე**



ტომას ვედიამ და მისმა არგენტინამ ირლანდია მეორედ მიანგრიეს



რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

# გრონჰოლმის ბოლო სესია: ჩემპიონობა და პენსია

**კვირას** საბერძნეთში „აკროპოლისის რალით“ წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი ნახევარი გასრულდა.

ფინელმა მრბოლმა მარკუს გრონჰოლმმა და მისმა თანამემამულე თანამძღოლმა ტიმო რაუტიაინენმა წლეულს უკვე მესამე ეტაპის მოგებით უფრო განიმტკიცეს გენერალურ კლასიფიკაციაში ლიდერობა. „ფორდის“ სუომური ეკიპაჟი ცხრა ქულით უსწრებს ბოლო სამი სეზონის ტრიუმფატორების სებასტიენ ლოებისა და დანიელ ელენას დუეტს.

სებმა წლევანდელი ჩემპიონატი მოგებით კი დაიწყო, მაგრამ ბოლო ორ ეტაპზე ორჯერ შეცდა და მეწინავეობის დათმობა მოუხდა. ცხადია, ცხრაპუნქტიანი პასივი კატასტროფა სულაც არაა, თუმც გრონჰოლმის გამორჩეულმა სტაბილურობამ — რვა რბოლაში შვიდი პოდიუმი და ერთიც მეოთხე ადგილი — ფრანგ ჩემპიონს სანერვიულო ნამდვილად გაუჩინა.

აღსანიშნავია, რომ იმ სამივე ტიტულისას, ჩემპიონატის პირველი ნახევრის შემდეგ ლოები დიდი უპირატესობით ლიდერობდა და საბოლოო მიზანსაც უპრობლემოდ აღწევდა. „სიტროენის“ პილოტისთვის ამჯერად ვითარება გართულებულია. საპენსიოდ გამზადებული მარკუსი პრაქტიკულად უნაკლოდ დაჯირითობს და ეტყობა, კლასიკურ რალიში თითქმის ოცწლიანი კარიერის მესამე ჩემპიონობით დაგირგვინება სურს.

39 წლის გრონჰოლმის გუშინწინდელი გამარჯვება 28-ეა და ამ მაჩვენებლით მხოლოდ რეკორდსმენ ლოებს ჩამორჩება. სხვაობა ოთხი დიდი პრიზია და დაუჯერებელია, რომ პენსიამდე დარჩენილ რვა ეტაპზე „მფრინავმა ფინელმა“ ფრანგის გადასწრება შეძლოს, ხოლო რაკი 33 წლის სები წასვლაზე ჯერ არ ფიქრობს, ბუნებრივია, თავისივე მიღწევის ნიშნულს უფრო აამაღლებს და იქნებ 40 მოგებამდეც დაამრგვალოს.

ცხადია, ვერ ვიტყვით, ლოები სამუდამო მერეკორდედ დარჩებაო, თუმც ეს გამორიცხულიც არაა. ყოველ შემთხვევაში, გრონჰოლმს თუ არ ჩავთვლით, მოქმედ მრბოლთაგან უახლოეს „მდევარს“, ნორვეგიელ ექსჩემპიონ პეტერ სოლბერგს ორი წელია, ერთი გრან პრიც ველარ მოუგია და 13 გამარჯვებით მე-13 პოზიციაზეა გაჭედილი.

რაც შეეხებათ დანარჩენებს, მხოლოდ 26 წლის ფინელი მიკო ჰირვონენი შემდგარა პოდიუმის წვერზე, თანაც ოდენ ორჯერ. ასე რომ...

**გია ახალაძე**



სეზონის ბოლოს მარკუს გრონჰოლმი წასვლას აპირებს

**ყველაზე მეტი ეტაპის მოგებენი**

| | მრბოლი | ქვეყანა | მოგება | რბოლა |
|---|---|---|---|---|
| 1 | სებასტიენ ლოები | საფრანგეთი | 32 | 93 |
| 2 | მარკუს გრონჰოლმი | ფინეთი | 28 | 133 |
| 3 | კარლოს საინსი | ესპანეთი | 26 | 196 |
| 4 | კოლინ მაკრეი | დიდი ბრიტანეთი | 25 | 145 |
| 5 | ტომი მაკინენი | ფინეთი | 24 | 139 |
| 6 | იუჰა კანკუნენი | ფინეთი | 23 | 162 |
| 7 | დიდიე ორიოლი | საფრანგეთი | 20 | 153 |
| 8 | მარკუ ალენი | ფინეთი | 19 | 130 |
| 9 | ჰანუ მიკოლა | ფინეთი | 18 | 123 |
| 10 | მასიმო ბიასონი | იტალია | 17 | 79 |
| 11 | ბიორნ ვალდეგაარდი | შვედეთი | 16 | 95 |
| 12 | ვალტერ რორლი | გერმანია | 14 | 75 |
| 13 | პეტერ სოლბერგი | ნორვეგია | 13 | 116 |
| 14 | ტიმო სალონენი | ფინეთი | 11 | 97 |
| | სტიგ ბლომკვისტი | შვედეთი | 11 | 120 |
| 16 | არი ვატანენი | ფინეთი | 10 | 101 |
| | რიჩარდ ბარნსი | დიდი ბრიტანეთი | 10 | 104 |
| 18 | სანდრო მუნარი | იტალია | 7 | 36 |
| | ბერნარ დარნი | საფრანგეთი | 7 | 38 |
| | ჟილ პანიზი | საფრანგეთი | 7 | 73 |

# გაი ასაფას გაეტოლა


ტაისონ გაი

**ამ უქმეებზე** ნიუ იორკში „რიბოკის გრან პრიდ“ წოდებულ ტურნირზე დიდად განთქმული ხალხი შეიკრიბა და საუცხოო შედეგებიც გამოცხვა, განსაკუთრებით ერთი გამოვიდა ისეთი, მცოდნე ხალხს თვალები შუბლზე აუცვივდა, აქაოდა, თვალი გვატყუებს თუ დროის ტაბლოვო.

200 მეტრზე სპრინტში სპეციალიზირებულმა ამერიკელმა სპრინტერმა ტაისონ გაიმ წლეულს 100 მეტრის მოსინჯვა განიზრახა და ნიუ იორკში ისე სწრაფად ირბინა, ხალხი სკამიდან წამოახტუნა. 100 მეტრი მან 9,76 წამში დაფარა და ასაფა პაუელის სამგზის ნაჩვენებ მსოფლიო რეკორდს წამის მეასედი ჩამოაჭრა. მაგრამ თითქმის იმთავითვე გადაწყდა, რომ გაის შედეგი მსოფლიო რეკორდების წიგნში არ გატარდებოდა, რაკილა იმ დღეს ნიუ იორკში საკმაოდ ძლიერი ბრიზი ქროდა. გაის 2,2 მეტრ-წამ ზურგქარში მოუწია სირბილი, რაც დასაშვებზე 0,2 მეტრ-წამით მეტია. ცხადია, სირბილი არ აუკრძალიათ, აი რეკორდი კი ვერ მიართვეს.

ქარი მის მეტოქეებსაც დაეხმარა კარგი შედეგის ჩვენებაში. ასე მაგალითად, მეორე ადგილზე გასულმა მავანმა ბაჰამელმა ეტკინსმა 100 მეტრი 9,83 წამში დაფარა და იმ გარბენში კიდევ ორი კაცი ჩამოსცდა 10-წამიან ზღვარს.

გაის დიდად არ განუცდია, ქარმა რეკორდი რომ „გამოაცალა“. მან თავადაც კარგად უწყოდა, როგორ პირობებშიც აჩვენა ეს დრო. ამას წინათ იქვე, ვარჯიშზე 9,79 შედეგით ირბინა 2,5 მეტრ-წამ ზურგქარში.

„ჩემმა მწვრთნელმა მითხრა, რომ 9,74-შიც შემიძლია სირბილი, მაგრამ დროს რომ ვუყურო, შორს ვერ წავალ. მთავარია მოვიგო, დრო და რეკორდი კი მერე და მერე მოვა. სადღეისოდ, ლეგალურად უსწრაფესი დრო ასაფასია და მას უნდა მოვუხადოთ ქუდი — ამბობს ტაისონ გაი — ისე კი, ძალიან მინდა პაუელს გავეჯიბრო და ასე შევამოწმო თავი.“

იმ ტურნირზე კიდევ არაერთი სეზონის რეკორდი დამყარდა, რომელთაგან ყველაზე მეტად „ყვირის“ 110 მეტრზე თარჯმორბენალი ლიუ სიანის 12,92 წამი. ჩინელმა მსოფლიო რეკორდსმენმა ნიუ იორკში დიდი ბლიცბრძოლა გადაიხადა ამერიკელ ტერენს ტრამელთან და ამ შედეგსაც მას უმადლის, ამბობს — 12,92 წამს ვარჯიშზე კი ვაკეთებ, მაგრამ ტურნირზე თუ ვინმემ სერიოზული კონკურენცია არ გამიწია, ასეთ დროს ვერაფრით ვაჩვენებო. შარშანაც ლოზანაში 12,88 წამში რომ ირბინა და მსოფლიოს რეკორდის დამყარების შემდეგ პოდიუმზე უფრო მეტი რომ იხტუნავა, ეს მაშინდელი მოწინაალმდეგის დომინიკ არნოლდის დამსახურებაც იყო, რომელიც ჩინელს გვერდში მიჰყვებოდა და აიძულებდა, უფრო და უფრო აეჩქარებინა ფეხი.

ახლა ლიუ სიანმა ტრამელს ბოლო ბარიერის გადალახვის შემდეგლა გაასწრო, თავად ტრამელმა კი რბენა პირადი რეკორდით, 12,95 წამით დაამთავრა, რაც ნამდვილად კარგ შედეგად ჩაეთვლება.

5 კილომეტრზე სირბილში სეზონის რეკორდი გამოაცხო სუპერსტაიერ კენენისა ბეკელეს ძმამ, ტარიკუ ბეკელემ — 13 წუთი და 4,05 წამი.

ერთი რეკორდი პაუელმაც ჩაიწერა, ოღონდ არა ჩვენთვის ასე კარგად ნაცნობმა ასაფამ, არამედ ამერიკელმა ქალმა ჯინი პაუელმა, რომელმაც 100 მეტრ თარჯრბენში 12,45 შედეგით მოიწონა თავი.

უფრო ხმამაღალი ტაში „გამოიმუშავა“ ამერიკელმა ჭოკით მხტომელმა ქალმა ჯენ სტუჩინსკიმ. ნიუ იორკში მას ახლოსაც კი ვერავინ გაეკარა. მხოლოდ ჩინელმა შუინგ გაომ სცადა მასთან გაჯიბრება და ისიც საკუთარ თავს და შესაძლებლობებს გადაახტა, როცა 4,64 მეტრი დაძლია და აზიის რეკორდი დაამყარა. გაომ შემდეგ 4,74 მეტრსაც შეუტია, მაგრამ სულ ამაოდ დაშვრა.

სტუჩინსკი კი მაღლა და მაღლა მიიწევდა. ერთი კვირით ადრე მან 4,84 მეტრზე ისკუპა და ამერიკის რეკორდი ჩამოართვა უცნობილეს სტეისი დრაგილას, ახლა კი 4,88 მეტრიც დაძლია და გვერდში ამოუდგა მსოფლიოს ყოფილ რეკორდსმენს, რუს სვეტლანა ფეოფანოვას. ამათზე მაღლა მხოლოდ ერთი ქალი დაფრინავს მსოფლიოში — რუსი მსოფლიოს რეკორდსმენი, მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონი ელენა ისინბაევა.

ამ შედეგმა სტუჩინსკი ისე გაათამამა, რომ მთლად გაფრენა მოინდომა და მსოფლიო რეკორდზე ერთი სანტიმეტრით მაღლა, ანუ 5,03 სანტიმეტრზე შემოადებინა თამასა, მაგრამ ამ სიმაღლეს ველარ მოერია და ტაშით დატოვა სარბიელი.

**კოტე ყორშია**


ჯენ სტუჩინსკი



## ცატუმასი მეცხრე ცაზე

**საინტერესო** ტურნირს უმასპინძლა მომცრო ბერძნულმა ქალაქმა კალამატამ დ[illegible] იქ რამდენიმე საინტერესო შედეგიც აღინიშნა. დამსწრეები და საერთოდ ბერძნული სპორტის მოყვარული საზოგადოება დიდად გაამაყა სიგრძეზე მხტომელი ლუის ცატუმასის გამოსვლამ. აქამდე ძირითადად ახალგაზრდულ ტურნირებში თავგამოჩენილმა ბერძენმა მოხტუნავემ პირველივე ნახტომზე სერიოზული შედეგი აჩვენა — 8,34 მეტრზე ისკუპა და მხოლოდ ორი სანტიმეტრი დააკლდა ეროვნულ რეკორდამდე. მერე ამბობდა, იმედი მქონდა, ამის შემდეგ ასე 8,40-ის ფარგლებშიც გადავხტებოდი და ქვეყნის რეკორდს განვაახლებდი, მაგრამ ასეთ შედეგს ნამდვილად არ ველოდიო.

მესამე ცდაზე ცატუმასმა, არც აცია, არც აცხელა, 8,66 მეტრზე ისკუპა, რითაც სეზონის საყოველთაო რეკორდი დაამყარა. ეს შედეგი მეორეა ევროპულ სამძლეოსნო ისტორიაში და მერვე მსოფლიოში.

სამხტომში სეზონის რეკორდის სულ ახლახან ჩამწერმა, 17,90 მეტრის დამძლევმა ბრაზილიელმა ჟადელ გრეგორიუმ ახლაც დაძლია 17-მეტრიანი ზღვარი და სამი ნახტომის ჯამში 17,28 მეტრს იქით დაეშვა. ამავე სახეობაში ქალებში 14,58 შედეგით იმარჯვა სუდანელმა იამილე ალდამამ.

**კოტე ყორშია**



# კაცები. მსოფლიო ლიგა ჯგუფური ეტაპის მე-3 და მე-4 ტური

**A ჯგუფი**

ბრაზილია 3:1 ფინეთი
*25:17 25:14 20:25 25:19*
ბრაზილია 3:0 ფინეთი
*25:15 25:19 25:20*
სამხრეთ კორეა 3:1 კანადა
*26:24 26:24 20:25 25:23*
სამხრეთ კორეა 3:0 კანადა
*25:19 25:23 25:19*
ბრაზილია 8 ქულა; სამხრეთ კორეა 6; ფინეთი, კანადა 5-5

**B ჯგუფი**

იტალია 3:2 საფრანგეთი
*25:20 25:20 22:25 15:25 17:15*
იტალია 0:3 საფრანგეთი
*20:25 23:25 26:28*
აშშ 3:1 იაპონია
*25:17 23:25 27:25 25:19*
აშშ 3:1 იაპონია
*20:25 25:22 25:22 25:18*
აშშ 7 ქულა; საფრანგეთი 6; იტალია 3; იაპონია 2

**C ჯგუფი**

კუბა 2:3 რუსეთი
*26:24 23:25 15:25 25:20 13:15*
კუბა 3:1 რუსეთი
*27:25 25:19 21:25 30:28*
სერბეთი 3:0 ეგვიპტე
*25:23 25:19 32:30*
სერბეთი 3:0 ეგვიპტე
*28:26 25:20 25:22*
კუბა, რუსეთი 7-7 ქულა; სერბეთი 6; ეგვიპტე 4

**D ჯგუფი**

ბულგარეთი 3:1 ჩინეთი
*25:16 19:25 25:22 25:17*
ბულგარეთი 3:0 ჩინეთი
*25:18 25:16 25:21*
პოლონეთი 3:1 არგენტინა
*23:25 27:25 25:17 25:23*
პოლონეთი 3:0 არგენტინა
*25:16 25:22 25:18*
ბულგარეთი, პოლონეთი 8-8 ქულა; ჩინეთი, არგენტინა 4-4

**შენიშვნა:** B ჯგუფში იტილიასა და იაპონიას ორ-ორი თამაში აქვთ ჩატარებული

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჭორჭოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge